ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ მეჭურჭლიშვილი

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ეპატაჟური გავლენა საზოგადოებაზე

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

იაგო კაჭკაჭიშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი; სოციოლოგიისა და სოციალური
მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი

თბილისი

2018

ანოტაცია

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ეპატაჟური გავლენა საზოგადოებაზე

თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის ერთ-ერთი მკვეთრად დამახასიათებელი ფორმაა ეპატაჟი. მრავალი მწერალი თუ პოეტი იწვევს საზოგადოებაში აჟიოტაჟს მათი შემოქმედების: შინაარსისა თუ ფორმის გამო. წინამდებარე კვლევა ემსახურება იმის დადგენას, თუ როგორი ლიტერატურა იწვევს ეპატაჟს საზოგადოებაში და რა არის ამის მთავარი მიზეზები.

კვლევა შედგება ორი: თვისებრივი და რაოდენობრივი ნაწილისგან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებთან, მიღებული მონაცემების საფუძველზე კი გამოიკითხნენ ის მწერლები, რომლებიც დასახელდნენ ყველაზე უფრო ეპატაჟურად.

ქართული საზოგადოება განვითარებადი საზოგადოებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსხვავებულის, უცხოს მიმართ შიში სულაც არაა უცხო. კვლევის შედეგად სწორედ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ეპატაჟს, ძირითადად, ისეთი მწერლები იწვევენ, რომლებიც ღიად საუბრობენ ტაბუირებულ თემებზე, ცდილობენ არსებული ნორმების დეკონსტრუქციას და საზოგადოების ყურადღების მიპყროპას.

The influence of modern outrageous literature on Georgian society

One of the most characteristic form for the modern Georgian literature is the epatage[1]. Many writers or poets cause a stir in the public because of their creativity, content or shape of their works. This research serves to determine what is the investment of Literature in society and what are the main reasons for it to happen.

Survey consists with two: qualitative and quantitative parts. During the quantitative research Master students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Humanitarian faculty were enquired. The qualitative survey based on the data obtained consisted in interviewing the writers who were named as the most outrageous authors.

The Georgian society is a developing society, which means that the fear of strangers is very familiar feeling for us. The findings of the study are also stating that the outrage is mainly caused by authors who writes openly about the tabooed topics and try to break the existing norms and thus calling the public attention.

[1] The Shortest Way to Popularity. ... The word "épatage" has French origin. It is formed from the verb épater – to overwhelm, to bring a surprise. **Epatage** is defiantly scandalous, shocking, outrageous, behavior that violates generally accepted social and cultural norms.

სარჩევი

ანოტაცია 2
The influence of modern outrageous literature on Georgian society 3
თემის აქტუალობა 5
კვლევის მიზანი 7
კვლევის ამოცანები: 7
კვლევის ჰიპოთეზა: 8
კვლევის ქვეჰიპოთეზები: 8
შერჩევა 9
მონაცემების ტიპი 9
მონაცემთა მოპოვების მეთოდები 10
მონაცემთა წყაროები 11
მონაცემების ფორმატი 11
მონაცემთა ანალიზის მეთოდები 11
კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა 12
კვლევის შეზღუდვები 12
ცნებების ოპერაციონალიზაცია: 13
ლიტერატურის მიმოხილვა 13
შესავალი 18
რაოდენობრივი კვლევის ნაწილი 20
კვლევის თვისებრივი ნაწილი 47
დასკვნა 55
გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა 57
დანართი 58

ქართული თანამედროვე ლიტერატურის ეპატაჟური გავლენა საზოგადოებაზე

თემის აქტუალობა

კაცობრიობის ისტორიაში, მას შემდეგ რაც არსებობს წიგნი, ლიტერატურა, არსებობს გამომწვევი, ეპატაჟური ლიტერატურაც. მსგავსი სახის ლიტერატურას ვხვდებით, როგორც ანტიკურ საბერძნეთში (არისტოფანეს კომედიები), ასევე რენესანსულ იტალიაშიც (ჯოვანი ბოკაჩოს: „დე კამერონი“). ეპატაჟური ლიტერატურის ძირითად არსს და ამოცანას წარმოადგენს არსებულ საზოგადოებრივ ნორმებთან შეწინააღმდეგება, მათი ნგრევის მცდელობა და საზოგადოების შოკირება. ეპატაჟური ლიტერატურა შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად: ერთი, როდესაც მწერალს წინასწარ აქვს ასეთი ნაწარმოების შექმნა განზრახული და მეორე, როდესაც მწერალი წინასწარ არ ფიქრობს და არ გეგმავს ეპატაჟური ლიტერატურის შექმნას და ეს თავისთავად ხდება.

დროის დინებასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ნორმებისა და ნორმიდან გადახვევის დეფინიციებიც. ის რაც ნორმად შეიძლება ჩაგვეთვალა კონკრეტულ დროს კონკრეტულ საზოგადოებაში, სხვა დროსა და სხვა საზოგადოებაში შეიძლება დევიაცია გამხდარიყო. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ ეპატაჟურ ლიტერატურაზე, ყველა ნიმუშს ერთი „ქოლგის“, საერთო მსაზღვრელების ქვეშ ვერ მოვაქცევთ; ეპატაჟური ნაწარმოები, დაწერილი ასი წლის წინათ, შეიძლება სულაც არ იყოს ეპატაჟური დღეს და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ეპატაჟს და ეპატაჟურ ლიტერატურას მიეცა მეტად სტრუქტურირებული სახე, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ეპატაჟურ ლიტერატურად ჩაითვალა მსოფლიოში ჟოზე სარამაგუს, უელბეკის წიგნები, სიურრეალისტური მოძრაობა და ა.შ. საქართველოში დიდი

ეპატაჟი გამოიწვია ფუტურისტების გამოჩენამ, განსაკუთრებით კი ცისფერყანწელთა პერფორმანსებმა, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ და არღვევდნენ საზოგადოებრივ ნორმებს. როგორც უკვე აღვნიშნე, ეპატაჟი არ არის უცხო არც ქართული ლიტერატურისთვის. ყველაზე ცნობილი და აღიარებული წიგნიც კი, რომელსაც ქართველთა მთავარ წიგნად მივიჩნევთ, ეპატაჟური, გამომწვევი და აკრძალულიც კი იყო ეკლესიის მიერ. დიახ, „ვეფხისტყაოსანი“ არ იყო მიღებული ქართული საზოგადოების, ეკლესიის, ერისა და ბერის მიერ. საინტერესო ფენომენი ისაა, რომ ეპატაჟური მწერლები თუ წიგნები დღეს „კლასიკურ“ ნაწარმოებებად ითვლება, ანუ აღმოჩნდა ნორმების ფუძემდებელი.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში მრავალმა მწერალმა და ნაწარმოებმა გამოიწვია ეპატაჟური რეაქცია საზოგადოებაში. ემპირიული კვლევა შეეხება სამ თანამედროვე მწერლს, რომელთა ნაწარმოებებმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში, ხელისუფლებასა თუ ეკლესიაში. ლაშა ბუღაძის: „პირველი რუსი“, იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც გახდა სრულიად საზოგადოების კრიტიკის ობიექტი, ამ პერიოდში გადაცემები, ტელეშოუები, პარლამენტის სხდომები თუ სინოდის შეკრებები ეძღვნებოდა ამ წიგნსა და ავტორს (ავტორს ბოდიშიც კი მოახდევინეს). ერეკლე დეისაძის: „საიდუმლო სირობის“ გამო, უნივერსიტეტის რექტორის გადადგომას ითხოვდნენ, თავად ავტორს კი სოფელში „გახიზვნა“ მოუწია, აგრესიისაგან დასამალად. ზაზა ბურჭულაძის „ხსნადი კაფკა“ კი იმის მოტივატორი გახდა, რომ მწერლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინათ.

როგორც უკვე ნათელია, თანამედროვე ქართული ლიტერატურაც საკმაოდ დატვირთულია ეპატაჟით. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ეპატაჟის გაგება სოციალური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად იცვლება. კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორი ლიტერატურა იწვევს საზოგადოებაში ეპატაჟს დღეს, როგორი იყო ეპატაჟი ადრე და როგორ განსხვავდება და ჰგავს ისინი ერთმანეთს.

კვლევის მიზანი

- იმის დადგენა თუ რა ტიპის თანამედროვე ქართული ლიტერატურა იწვევს ეპატაჟს ქართულ საზოგადოებაში.

კვლევის ამოცანები:

- ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის დადგენა თანამედროვე ქართული ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ;

- იმ თემატიკის გამოყოფა, რომლის ქართულ ლიტერატურაში გამოყენების მიმართაც ყველაზე მგრძნობიარეა ქართული საზოგადოება;

- საზოგადოების დამოკიდებულებისა და განწყობების დადგენა თანამედროვე ქართული ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ;

- ქართული საზოგადოებაზე თანამედროვე ქართული ეპატაჟური ლიტერატურის გავლენის დადგენა.

კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა:

- საქართველოში ეპატაჟს ისეთი ლიტერატურა იწვევს, რომელიც ეხება საკარულ, რელიგიურ თემებს, რაც, თავის მხრივ, ქართული საზოგადოების კონსერვატულობაზე მიუთითებს.

კვლევის ქვეჰიპოთეზები:

- ქართულ საზოგადოება ამა თუ იმ ლიტერატურილი ნიმუშის ეპატაჟურობას, ძირითადად ნაწარმოების სათაურიდან გამომდინარე ახდენს განსაზღვრავს;

- ქართული საზოგადოება ყველაზე სენსიტიურია რელიგიური თემებისა და პერსონაჟების გამოყენების მიმართ ლიტერატურაში, რადგან მსგავსი თემების რევიზიას დაუშვებლად მიიჩნევს.

- ქართულ საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ, რადგან ის არღვევს დამკვიდრებულ ნორმებს;

- თანამედროვე ქართული ეპატაჟური ლიტერატურა არ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე, რადგან საზოგადოება არ კითხულობს მას.

შერჩევა

იმის შესასწავლად, თუ როგორი ლიტერატურა იწვევს ეპატაჟს, პირველ ეტაპზე გამოკითხა 188 ადამიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები. კვლევის მეთოდი იყო თვითადმინისტრირებული გამოკითხვა, ხოლო ინსტრუმენტი - ანკეტა. შერჩევა - სტრატიფიცირებული, სამიზნე ჯგუფი პირველი და მეორე კურსის მაგისტრანტები. მიღებული მონაცემების შემდეგ, გამოვლინდა 21-ე საუკუნეში გამოცემული ოთხი ქართული ყველაზე ეპატაჟური წიგნი და ავტორი: „პირველი რუსი“ (ავტორი ლაშა ბუღაძე), „საიდუმლო სირობა“ (ავტორი: ერეკლე დეისაძის) „ხსნადი კაფკა“ – (ავტორი: ზაზა ბურჭულაძე) და „ანტიტყაოსანი“ (ავტორი: პაატა შამუგია). შერჩევა თვისებრივ კვლევის მეთოდებში: მიზნობრივი/დანიშნულებითი შერჩევა, შევისწავლე აღნიშნული წიგნები და ამ წიგნების გარშემო იმდროინდელი პრესის მიმოხილვა. ასევე, გამოვკითხე დასახელებული მწერლები და მათთან ჩავატარე ეპიზოდური ინტერვიუები. გამოვკითხე ექსპერტი, რომელთაგან ერთი თავადაც წერს და ასევე ლიტერატორია.

მონაცემების ტიპი

ჩემი კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემები არის ორგვარი: პირველადი და მეორეული. პირველადი მონაცემები არის ის მონაცემები, რომლებიც თავად მოვიპოვე. კერძოდ, თვისებრივი ტიპის ინტერვიუ ჩავატარე მწერლებთან და ექსპერტთან; ასევე, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოვკითხე თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტები. მეორეული მონაცემები ის მონაცემებია,

რომელიც მოვიპოვე უკვე არსებულ მასალაზე დაყრდნობით: წავიკითხე წიგნები, რომლებიც გახდა ეპატაჟური, დროსთან შესაბამისი პრესა, რომლებიც აღწერენ მიმდინარე მოვლენებს და ა.შ.

მონაცემთა მოპოვების მეთოდები

დასახელებული წიგნების ოთხ ავტორთან ჩატარდა თვისებრივი ინტერვიუ, კერძოდ, ეპიზოდური ინტერვიუ; ამ მეთოდმა საშუალება მომცა თავად მწერლების მხრიდან შემეხედა იმ მოვლენებისთვის, რაც მათ ირგვლივ განვითარდა წიგნების გამოცემის შემდეგ. ექსპერტებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, რამაც საშუალება მომცა მომეპოვებინა მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი ლიტერატურა არის ეპატაჟური, როგორ და რა თვალსაზრისით ახდენს ის გავლენას საზოგადოებაზე. გარდა ამისა, გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევის ტექნიკა, კერძოდ, გამოვკითხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები; ამან საშუალება მომცა მკითხველების მხრიდან შემეხედა მოვლენებისთვის და შემეფასებინა ინფორმირებულობა, აგრეთვე, ის გავლენები და დამოკიდებულებები, რაც სტუდენტებს აქვთ ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ.

მონაცემთა წყაროები

მაქვს ბუნებრივი სოციალური გარემო, მეზო დონე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სადაც გამოვკითხე მაგისტრატურის სტუდენტები; ასევე - მიკრო დონე, კერძოდ, ჩატარდა ეპიზოდური ინტერვიუები ინდივიდებთან.

მონაცემების ფორმატი

აქ მაქვს გამოყენებული ორივე ტიპის ფორმატი. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების დროს მაქვს სიტყვები მიღებული, ასევე რაოდენობრივი კვლევის დროს, სტუდენტების გამოკითხვისას ანკეტის მეშვეობით და შემდგომში უკვე კოდირების სახით ციფრები.

მონაცემთა ანალიზის მეთოდები

რაოდენობრივი კვლევის ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა SPSS პროგრამაში, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუების მონაცემები, ტრანსკრიპტების, კოდირების შემდეგ, დამუშავდა NVIVO პროგრამაში. თავდაპირველად შევქმენი node-ები და შესაბამისად მოვახდინე კოდირება. შეიქმნა node-ბის მიხედვით კავშირები. რის შედეგადაც უკვე თავად დავადგინე თუ როგორი ტიპის გავლენები იყო.

კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

საქართველოში სოციოლოგია ახალი დარგია და, შესაბამისად, ბევრი დარგობრივი სოციოლოგია, მაგალითად: ლიტერატურის სოციოლოგია არ არის განვითარებული. არსებული კვლევა სწორედ ლიტერატურის სოციოლოგიური ანალიზის მცდელობაა; კერძოდ, შესწავლილია ლიტერატურული ეპატაჟი, როგორც საზოგადოებაზე მოქმედი ფენომენი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, ნაკვლევია ლიტერატურული ეპატაჟის სოციალური ფუნცქიები.

კვლევის შეზღუდვები

ფინანსური სიმწირისა და არასაკმარისი დროის გამო, კვლევას გააჩნია სხვადასხვა შეზღუდვა. კერძოდ, ვერ მოხდა უცხოური კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება და მისი შედარება საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებთან; ასევე, ვლევის სამიზნე ჯგუფია მხოლოდ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, ვერ მოხერხდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტების გამოკითხვა.

ცნებების ოპერაციონალიზაცია:

ეპატაჟი - სკანდალური საქციელი, რომელიც არღვევს საზოგადოებაში ზოგადად მიღებულ ნორმებსა და წესებს.

თანამედროვე ქართველი მწერლები - მწერლები, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან და აგრძელებენ აქტიურ შემოქმედებას, საქმიანობას.

ეპატაჟური ლიტერატურა- ლიტერატურის ისეთი მიმართულება, რომელიც თამამად აღწერს ტაბუირებულ თემებს, არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

საუკუნეების მანძილზე არავის უკვირს აკრძალული, დამწვარი წიგნები, ისევე, როგორც ეკლესიიდან თუ საზოგადოებიდან განკვეთილი მწერლები. მართლაც, რამდენჯერ მომხდარა აუტოდაფე,[2] კითხვის აკრძალვა, მწერლის დაშინება და ა.შ. მსგავსი მოვლენები სათავეს ანტიკური დროიდან იღებს. მას შემდეგ რაც დასრულდა ანტიკური ხანა, სადაც სიტყვის თავისუფლება უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი და დაიწყო შუასაუკუნეები, ე.წ. „ბნელი საუკუნეები“,[3] რომელიც ასეა ცნობილი სწორედ მრავალფეროვნების არქონის გამო. ყველა მკვლევარი ერთხმად თანხმდება რომ ანტიკურობიდან რენესანსამდე უდიდესი ჩავარდნა და ნაპრალია კულტურის, ხელოვნების, მწერლობის განვითარების კუთხით. თუმცა, რა თქმა უნდა,

[2] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=5323

[3] ტერმინი „შუა საუკუნეები“ სათავეს იღებს ადრეულ ახალ დროში (XVIII საუკუნემდე), როდესაც ჰუმანისტმა მეცნიერებმა ისტორიულ ეპოქას ანტიკურობის დასასრულიდან მის აღორძინებამდე „შუა“, ასევე „ბნელი საუკუნეები“ უწოდეს. ჰუმანისტები მსოფლიო ისტორიას სამ ნაწილად ყოფდნენ: ძველი, შუა და ახალი ისტორია.

სამართლიანი იქნება აღინიშნოს, რომ ხელოვნების (ამ შემთხვევაში ლიტერატურის) აკრძალვა არ უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ დროსა და პერიოდს.

სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კონკრეტული სახის ლიტერატურა შეიძლება გახდეს კამათის, აკრძალვის, აგრესიის მიზეზი. არსებობს თემატიკები, რომლებზე წერაც, რომლებთან შეხებაც ა-პრიორი გამოიწვევს აჟიოტაჟს, კამათს, ეპატაჟს. ეპატაჟი, სწორედ ეს არის ჩემი კვლევის მთავარი საგანი, ეპატაჟური ლიტერატურა.

თუ გადავხედავთ ისტორიას, დღეს კლასიკად აღიარებულ წიგნთა უმეტესობა თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე ეპატაჟური და მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის. ამის მაგალითები მრავლადაა, როგორც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ასევე, საქართველოში. რა შეიძლება ყოფილიყო იმაზე ეპატაჟური, რომ მედეამ (ევრიპიდეს: „მედეა“)[4] საკუთარი შვილები დახოცა იასონზე შურისძიების მიზნით, ან ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“)[5], რომელმაც მამა მოკლა და დედაზე იქორწინა, მიუხედავად იმისა, ამას სიმბოლურად გავიგებთ თუ პირდაპირი მნიშნელობით, იცოდა წინასწარ ოიდიპოსმა თუ არა, ეს ხომ ისაა, რაც წერია და რაც დღემდე რჩება ეპატაჟურ თემად. რად ღირს მხოლოდ მარკიზ დე სადის გახსენება, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული სიტყვა: „სადისტი“[6] . ნაბოკივის: „ლოლიტა“, რომელიც „პედოფილის დღიურად“ მოიხსენიებოდა, აკრძალული იყო საფრანგეთში,

---

4 https://www.scribd.com/doc/235220045/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90

5 https://www.scribd.com/document/366164299/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94-pdf

6 სხვისი წვალებით, ტანჯვით სიამოვნების მიღება - ფრანგი მწერლის მარკიზ დე სადის (de Sad) სახელის მიხედვით, რომელმაც თავის რომანებში აღწერა ასეთი სქესობრივი უკუღმართობა. ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. - მე-3 შესწ. და შევს. გამოც.. - თბ. : განათლება, 1989. - 600გვ. ; 16სმ.. - სახელთა საძიებელი: გვ. 63-68. - 5მ., 10000ც.[MFN: 2749]

ინგლისსა და სხვა მრავალ ქვეყანაში. ახლა კი იგივე წიგნი, მე-20 საუკინის კლასიკად ითვლება. თუმცა, დღესდღეობით, არცერთ მათგანთან „პრეტენზია“ არავის აღარ აქვს. საქართველოს მთავარი წიგნი : „ვეფხისტყაოსანი“ - ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური წიგნია, რომელსაც ებრძოდნენ მრავალ ფლანგზე. ყველამ ვიცით ანტონ კათალიკოსის ცნობილი სიტყვები: „ამაოდ დაშვრა“, რომელიც რუსთაველს და „ვეფხისტყაოსანს“ ეხებოდა და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნე, თითქმის ყველა აღიარებული წიგნის უკან ეპატაჟი „დგას“, რომელიც დრომ ან ჩამოაცილა, ან ვერა. თანამედროვე მწერლობა ამ მხრივ ძალიან საინტერესოა, კერძოდ მეოცე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დღემდე პრობლემაა მათივე ეროვნების მთავარი მწერლები. ამის კარგი მაგალითია პორტუგალია და შესაბამისად ჟოზე სარამაგუ. ამ უკანასკნელმა თავისი ბოლო წლები ესპანეთის კუნძულ ლანსაროტეზე გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. სარამაგუ ერთადერთი პორტუგალიელი მწერალია, რომელსაც ნობელის პრემია აქვს მიღებული მწერლობაში, თუმცა სრულებითაც არ იყო მიღებული თავის სამშობლოში... ამის მიზეზი მარტივია - სარამაგუს წიგნების უმეტესობა უტრიალებს რელიგიის თემას, ისეთს, როგორიცაა ძველი აღთქმის მოვლენების გადათამაშება („კაენი“), ან ახალი აღთქმის სიუჟეტის სარკასტულად შეცვლა („იესოს სახარება“) და ა.შ.[7] რა თქმა უნდა, მიუღებლობის მიზეზი არ გამხდარა მხოლოდ რელიგია და რელიგიური თემები... მთავარია საზოგადოების რეაქცია და დამოკიდებულება. ამის კარგი მაგალითი ისაა, რომ ჟოზე სარამაგუმ: „იესოს სახარება“ გამოაქვეყნა 1991 წელს, ამ ამბავს ისეთი გამოხმაურება და რყევები მოჰყვა, რომ 1992 წელს, პორტუგალიის ხელისუფლებამ მისი სახელი ამოიღო ევროპული ლიტერატურული პრიზი „არიოსტოს” სიიდან. იმ დღეს, როდესაც ნომელის ბრემია გამოცხადდა და გაირკვა, რომ სწორედ ჟოზე სარამაგუს მიენიჭა ეს პრემია, გამოვიდა ვატიკანის გაზეთი:

[7] https://www.independent.co.uk/arts-entertainment/books/news/church-attacks-portuguese-nobel-prize-winner-over-new-book-5503502.html

„L'Osservatore Romano“, რომელიც წერდა, რომ სარამაგუ იყო ძველი სკოლის კომუნისტი ადამიანი, რომელიც არსებით ანტი რელიგიური გახლდათ. [8] იმავე პერიოდში, პორტუგალიის რეგიონის ბრაგანსას ჰერცოგმა დუარტე პიომ სარამაგუს რელიგიისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი უწოდა.[9] ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, მსგავსი ამბავი აქვე მოხდა: ჩვენი მეზობელი თურქეთისთვის დღემდე პრობლემაა ორჰან ფამუქი და მისი მწერლობა, რომელიც, ასევე, ერთადერთი თურქი ნობელის პრემიის ლაურიატია. ფამუქის მიუღებლობის მიზეზი მისი ცნობილი განცხადებაა სომხების გენოციდთან და ქურთების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით[10], რაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოსთვის და შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისთვისაც. 2005 წელს ფამუქს სასამართლოში უჩივლა, შვეიცარიული ჟურნალისთვის მიცემული ინტერვიუს გამო, სადაც ის ამბობდა, რომ თურქეთში 30 000 ქურთი და 1 მილიონი სომეხი მოაკვდინეს, 2006 წელს თურქეთის ხელისუფლებამ სარჩელი უკან გაიწვია და მხოლოდ სარჩელით შემოიფარგლა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი არ მომხდარა ხელისუფლების კეთილი ნებით, არამედ, უმბერტო ეკოს, გიუნტერ გრასის, ვარგას ლიოსას, მარკესის, ჯონ აპდაიკის მხარდასაჭერი განცხადებებითა და პეტიციებით. მის შესახებ საზოგადოებაში დღემდე აზრია გაყოფილი: ზოგისთის ის სამშობლოს მოღალატეა, რომელმაც „მტრის“ მხარე დაიჭირა, მეორე (მცირე) ნაწილისთვის კი, გმირი, რომელმაც რეალობას თვალი გაუსწორა და სიმართლე ილაპარაკა, მიუხედავად იმისა, შედიოდა თუ არა ეს მისი ქვეყნის ინტერესებში. ფაქტი კი ერთია, რომ სწორედ ამ ეპატაჟის გამო, ფამუქმა ტაბუ მოხსნა 1915 წლის მოვლენებს და დღეს ამ თემებზე ლაპარაკი უვე შესაძლებელია. [11]

---

[8] https://web.archive.org/web/20050320120826/http://edition.cnn.com/SPECIALS/1998/nobel/literature/

[9] https://www.theguardian.com/books/2002/dec/28/featuresreviews.guardianreview11

[10] https://www.theguardian.com/world/2005/oct/23/books.turkey

[11] http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=178&id=8807

თანამედროვე ქართული მწერლობა, ეპატაჟის ნიადაგზე მიუღებლობის თვალსაზრისით, ძალზე „დახუნძლულია“. 21-ე საუკუნის მიჯნაზე საქართველოში ყველაზე დიდი რეაქცია მოჰყვა ლაშა ბუღაძის პატარა ეპატაჟურ მოთხრობას, სახელწოდებით: „პირველი რუსი“. პარლამენტის წევრები იყენებდნენ პარლამენტის ტრიბუნას მწერლის გასაკრიტიკებლად, საპარტიარქო მწერალს ბოდიშის მოუხდელობის შემთხვევაში, ეკლესიის დაწყევლით ემუქრებოდა, გარეთ გამოსვლა მწერლისთვის საფრთხესთან იყო დაკავშირებული და ა.შ. ამას მოჰყვა ერეკლე დეისაძის: „საიდუმლო სირობა“, რომელმაც ასევე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში და მწერალს სოფლად გახიზნვა და დამალვა მოუწია... კიდევ ერთ თანამედროვე ქართველ მწერალს, ზაზა ბურჭულაძეს, მისი რომანის გამო, ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შედეგადაც ის გერმანიაში გადაცხოვრდა და ა.შ.

მაინც, რა თემები იწვევს ეპატაჟს საქართველოში? არის თუ არა მსგავსება ქართულ ეპატაჟსა და უცხოურს შორის და ა.შ.

კვლევის ძირითადი ნაწილი

შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში, მას შემდეგ რაც არსებობს წიგნი, ლიტერატურა, არსებობს გამომწვევი, ეპატაჟური ლიტერატურაც. მსგავსი სახის ლიტერატურას ვხვდებით, როგორც ანტიკურ საბერძნეთში (არისტოფანეს კომედიები), ისე რენესანსულ იტალიაშიც (ჯოვანი ბოკაჩო „დე კამერონი“). ეპატაჟური ლიტერატურის ძირითად არსს და ამოცანას წარმოადგენს არსებულ საზოგადოებრივ ნორმებთან შეწინააღმდეგება, მათი დანგრევის (დეკონსტრუქციის) მცდელობა და საზოგადოების შოკირება. ეპატაჟური ლიტერატურა შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად - ერთი, როდესაც მწერალს წინასწარ აქვს ასეთი ნაწარმოების შექმნა განზრახული და მეორე, როდესაც მწერალი წინასწარ არ ფიქრობს და არ გეგმავს ეპატაჟური ლიტერატურის შექმნას და ეს თითქოს „თავისთავად“ ხდება.

დროის დინებასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ნორმებისა და ნორმიდან გადახვევის დეფინიციებიც. ის რაც ნორმად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა კონკრეტულ დროს კონკრეტულ საზოგადოებაში, სხვა დროსა და სხვა საზოგადოებაში შეიძლება დევიაცია გამხდარიყო. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ ზოგადად ეპატაჟურ ლიტერატურაზე, მათ ერთი სტანდარტის ქვეშ ვერ მოვაქცევთ, ეპატაჟური ნაწარმოები დაწერილი ასი წლის წინათ, შეიძლება სულაც არ იყოს ეპატაჟური დღეს და ა.შ.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში მრავალმა მწერალმა და მისმა ნაწარმოებმა გამოიწვია ეპატაჟური, რეაქცია საზოგადოებაში. კონკრეტული კვლევა შეეხება სამ თანამედროვე მწერალს, რომელთა ნაწარმოებებმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში, ხელისუფლებასა თუ ეკლესიაში. ლაშა ბუღაძის: „პირველი რუსი“, იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც გახდა სრულიად საზოგადოების კრიტიკის ობიექტი, ამ პერიოდში გადაცემები, ტელეშოუები, პარლამენტის სხდომები თუ სინოდის შეკრებები ეძღვნებოდა ამ წიგნსა და ავტორს, შედეგად ბუღაძეს ბოდიში მოახდევინეს. ერეკლე დეისაძის: „საიდუმლო სირობის“ გამო, უნივერსიტეტის

რექტორის გადადგომას ითხოვდნენ, თავად ავტორს კი სოფელში „გახიზვნა“ მოუწია, აგრესიისაგან დასამალად. ზაზა ბურჭულაძის „ხსნადი კაფკა“ კი მიზეზი გახდა იმისა, რომ მწერალს ხალხი დაჰხვედროდა „სმარტის“ სუპერმარკეტთან და მისთვის ფიზიკური შეურაცყოფა მიეყენებინათ.

ამდენად, თანამედროვე ქართული ლიტერატურაც საკმაოდ დატვირთულია ეპატაჟით. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ეპატაჟის გაგება დროსა და სივრცის ცვლილებასთან ერთად იცვლება. კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორი ლიტერატურა იწვევს საზოგადოებაში ეპატაჟს დღეს, როგორი იყო ეპატაჟი ადრე და როგორ განსხვავდება და ჰგავს ისინი ერთმანეთს.

რაოდენობრივი კვლევის ნაწილი

საკვლევის თემისა და მიზნიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფად შეირჩა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები, რომელთა გადანაწილებაც მიმართულებების მიხედვით, ასეთია:

მაგისტრატურა

#	**მიმართულება**	**რაოდენობა**
	ენების ფილოლოგია	123
	ფილოსოფია	10
	ხელოვნება,სახვითი ხელოვნება, ტელე-კინო ხელოვნება	1
	ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია	90
	ამერიკის მცოდნეობა, კულტურის კვლევები	31
	ქართული ფილოლოგია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, თარგმნა, სარედაქციო საქმე	112
ჯამი		367

შესაბამისად, სტუდენტების ეს რაოდენობა განსაზღვრავს კვლევის გენერალურ ერთობლიობას. სტრატიფიცირებული შერჩევის მიხედვით, შერჩევითი ერთობლიონა განისაზღვრა შემდეგნაირად:

შერჩევის განაწილება

მიმართულება	**მაგისტრატურა**
ენების ფილოლოგია და ლიტერატურა	63
ფილოსოფია	5
ხელოვნება, სახვითი ხელოვნება,ტელე-კინო ხელოვნება	1
ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია, კავკასიოლოგია	46
ამერიკის მცოდნეობა, კულტურის კვლევები	16
ქართული ფილოლოგია	57
ჯამი	188
შერჩევის ცდომილება	5.00%

გამოკითხულთა 29% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 64% - მდედრობითი სქესის.



გამოკითხულთა 79% ამბობს, რომ არის დასაქმებული, დასაქმების ასეთი მაღალი პროცენტი გამოწვეულია დასაქმების ლიბერალური (მოქნილი) განსაზღვრებით. კერძოდ, კითხვაში იყო შემდეგი ფორმულირება: „ეს სამსახური შეიძლება იყოს სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, შეიძლება დასაქმებული იყოთ ოფიციალურად, არაფორმალურად ან იყოთ თვითდასაქმებული, მთავარია ამ საქმიანობისგან შემოსავალი გქონდეთ.“ გამოკითხულთა 20 % არ არის დასაქმებული.

კითხვაზე კითხულობენ თუ არა მხატვრულ ლიტერატურას, 92.8 % - მა განაცხადა რომ კითხულობენ, ხოლო 2.4%-მა თქვა რომ არ კითხულობს.



ხოლო კითხვაზე, თუ რა ტიპის მხატვრულ ლიტერატურას კითხულობენ, გამოკითხულთა 19.3%-მა უპირატესობა ნოველას მიანიჭა, 9.6%-მა სათავგადასავლოს, 33.7% -მა რომანს, 14.5%-მა დეტექტივს, 14.5% - „სხვას“ და 8.4%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



ვინაიდან ეპატაჟური ლიტერატურა არ გამოიყოფა, როგორც ცალკეული ჟანრი, მიმდინარეობა, მომდევნო კითხვა იყო, წაუკითხავთ თუ არა ეპატაჟური წიგნები, რაზეც სტუდენტთა 81.9 %-მა განაცხადა, რომ წაუკითხავს, 10.8 % ამბობს, რომ არ წაუკითხავს და 7.2 %-ს უჭირს პასუხის გაცემა.



ზემოაღნიშნული შეკითხვა შეეხებოდა ზოგადად ეპატაჟურ წიგნებს, განურჩევლად ქვეყნისა და მწერლისა, სადაც დადებითი პასუხის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მომდევნო კითხვა უკვე შეეხო ქართულ ეპატაჟურ წიგნებს, სადაც დადებითი პასუხის პროცენტმა თითქმის 20%-ით იკლო, უარყოფითი პასუხის წილმა - 12%-ით მოიმატა.



მიუხედავად ამ დინამიკისა, დადებითი პასუხის ხვედრითი წილი მაინც საკმაოდ მაღალია - 65.1%, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სავარაუდოდ, რესპონდენტთა ამ ნაწილიდან ყველას რეალურად არ აქვს წაკითხული აღნიშნული წიგნები, ამის თქმის საშუალებას მაძლევს, მათ მიერ დასახელებული ავტორი „გოჩა დეისაძე“, ერეკლე დეისაძის ნაცვლად (რომელზეც წერდნენ, რომ ამ ავტორს კითხულობდნენ), „თამარ მეფე“ „პირველი რუსის“ ნაცვლად და ა.შ.

მომდევნო კითხვა იყო ღია კითხვა, სადაც რესპონდენტებს ვთხოვე დაესახელებინათ, მათი აზრით, ყველაზე უფრო ეპატაჟური თანამდროვე ქართველი მწერლები:



პირველ ადგილს აქ ერეკლე დეისაძე იკავებს. 24.1%-თვის დეისაძე ყველაზე უფრო ეპატაჟური მწერალია. საინტერესოა, რომ სხვა მწერლებისგან განსხვავებით, ამას არც თავად ერეკლე დეისაძე უარყოფს. მან შემდეგი რამ გვითხრა: *„რა თქმა უნდა. ყველაფერი წინასწარ ვიცოდი და მაგისთვისაც გავაკეთე, რომ გამომეწვია ხმაური, შეურაცხყოფილი ყოფილი საზოგადოების დიდი ნაწილი და ეს ყველაფერი მივიღე, ამ ყველაფერს მივაღწიე და კმაყოფილი ვარ, თუმცა ტალღა წინააღმდეგობის ბევრად უფრო რთული იყო ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ კარგი იყო, რადგან ეს ყველაფერი ჩემი ნებით ხდებოდა.“* დეისაძეს 20.5%-ით მოსდევს მწერალი ლაშა ბუღაძე, თავისი ცნობილი მოთხრობით: „პირველი რუსით“, თუმცა, რესპონდენტთა უმრავლესობამ სკანდალურ მწერლად დაასახელა ბუღაძე, მაგრამ ვერ თქვა სწორად ამ მოთხრობის სათაური. უმრავლესობა მას: „თამარ მეფეს“ უწოდებს. დეისაძისგან განსხვავებით ლაშა ბუღაძის თქმით, მას არ ჰქონდა წინასწარ განზრახული ეპატაჟურობა და რომ რეალურად მოთხობა სულაც არაა ეპატაჟური: *„არა, არა, იმიტომ რომ მე არ ვწერდი*

სკანდალურ ტექსტს. მე შემიძლია თამამად ვთქვა რომ ეს ტექსტი „პირველი რუსი“ არის ერთადერთი კლასიკურად პატრიოტული მოთხრობა, რომელიც მე დამიწერია. რაზეა, ეს არი რუსეთთან საქართველოს ურთიერთობაზე ალეგორიულ, სატირული ფორმით გადმოცემული. მუდმივი სიყვარული - სიძულვილი, მოლოდინი - შეურაცხყოფა, იმედგაცრუება - დამოკიდებულება , გაქცევის სურვილი - შეუძლებლობა ამ გაქცევიდან. ყველაფერი რაც რუსეთ - საქართველოს ურთიერთობას ახასიათებს, გამოჩნდა ჩემთვის იური ბოგოლიუბსკისა და თამარ მეფის ურთიერთობაში, რომელიც დაემყნო ეს ჩემი სატირა ბასილი იოზოს ტექსტს „ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა“ სადაც ბასილი იოზოსი, მოძღვარი, საკმაოდ თამამად, საკმაოდ ღიად წერს იორი ბოგოლიუბსკის პრობლემებზე.

რესპონდენტთა 9.6%-ის აზრით, ეპატაჟურია ზაზა ბურჭულაძე და მისი მწერლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაზა ბურჭულაძე „სკანდალური“ გახდა უფრო მეტად ოიდიპალური იდეების გადმოტანის გამო, რაც ხშირად მომხდარა ევროპულ ლიტერატურაში და რაც სრულიად არ ითვლება სკანდალურად, მეტიც, ასეთი მიდგომა კლასიკური ნაწარმოების გადააზრებად ითვლება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს ოიდიპალური ლიტერატურის უდიდიდესი მიმართულება დასავლეთში. საქართველოში ზაზა ბურჭულაძის ტექსტს ასეთი გამოხმაურება მოჰყვა: *„მე მაშინ ვთქვი, როცა ბურჭულაძემ დაწერა დედამისზე, რაც ჩემთვის კი არა, მთელი მსოფლიოსთვის და ალბათ ნორმალური ადამიანისთვის ამაზრზენი უნდა იყოს, რომ მე არამარტო დედამისს და მამამისს ვუცხადებ სამძიმარს, ესეთი შვილის გაზრდისთვის, არამედ მთელ საქართველოს, იმიტომ, რომ ესენი ჩვენი შვილები არიან; ესენი ჩვენი შვილები არიან იგივე, ხო და თუ ჩვენ ესეთი შვილები აღვზარდეთ, ღირსი ვართ სამძიმრის. გარდაცვლილები გვიდევს წინ... ადამიანი რომელიც წერს, რომ დედაჩემი რომ შედის ტუალეტში, და ჯდება უნიტაზზე და მერე მე რომ ვჯდები იმავე უნიტაზზე იმის სითბოთი მე ვღიზიანდები, იმ სიტყვას ველარ ვიხმარ, იმიტომ რომ გული გამისკდება, ამაზე დიდი უბედურება ერს რა უნდა დაემართოს, მე არ ვიცი...თუ*

აი ასეთი აზროვნება არის ქართველებში, მე კიდევ ერთხელ ვიძახი, ჩემი საქართველო გარდაცვლილია...“[12]

მომდევნო ასევე ღია კითხვა ეხებოდა იმ უკვე ზემოთ აღნიშნული მწერლების ეპატაჟურობის მიზეზს. რის გამო გახდნენ ისინი ეპატაჟურები. 34.9 % -ისთვის გაუგებარია ამის მიზეზი, 22.9%-ისთვის ზოგადად ტაბუირებულ თემებზე საუბარი ხდის მწერალს ეპატაჟურად.

[12] „გია ჯაჯანიძის შოუ“, ტელეკომპანია იმედი, 21 ნოემბერი, 2014 წელი.



მწერალ ერეკლე დეისაძის მოსაზრებით, ეპატაჟური ხდება ისეთი თემები (რაც ტაბუირებულის ქვეშ ერთიანდება): *„რაზეც საუბარი რცხვენიათ, რაზეც ვერ ილაპარაკებდნენ, ფიქრიც* ერიდებათ...“9.6%-ის აზრით, მწერალი (ამ შემთხვევაში ლაშა ბუღაძე), იმიტომ გახდა ეპატაჟური, რომ ის თამარ მეფეს შეეხო, აუგად მოიხსენია ის, წარმოაჩინა, როგორც ადამიანი და არა როგორც წმინდანი. ამაზე მწერალი

ეკატერინე ტოგონიძე ამბობს: *„შეიძლება ეს ყოფილიყო სათაური, ტექსტში „უხამსობა“, ან რომელიმე ისტორიული ფიგურის მოხსენიება ჩვეულებრივი მოკვდავის დონეზე და მასზე წერა; შეიძლებოდა ეს ყოფილიყო სექსუალური აქტის დეტალური აღწერა, რომელსაც არაა მიჩვეული ქართული ლიტერატურა და ქართველი მკითხველი. და სხვათაშორის ენაც არ იძლევა ხოლმე ამის მოქნილ საშუალებას და ალბათ ეს ყველაფერი ტრიალებს რელიგიის გარშემო, რადგან ეს იდენტობა ადამიანების გარშემო წამოსულია რელიგიური ღირებულებებიდან. მისი ღირსებაც ხშირად დგას ამ რელიგიურ ფასეულობებზე, და შესაბამისად, თავდასხმა რელიგიურ და მორალურ ნორმებზე აღიქმება მათ შეურაცხყოფად და იწყება ამ ყველაფრის დაცვა, ხშირად ეს არის ხოლმე აგრესია და როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, არის ხოლმე ტექსტის წაუკითხავად წამოსული აგრესია, რომელიც ან სათაურის, ან სხვაგან წამოსული აზრის საფუძველზე ჩნდება. ცოტა ადამიანი თუ ინტერესდება იმით, რა წერია იქ, ვთქვათ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებიც ხშირად იქმნება...ესეიგი, ორი რამ განაპირობებს ეპატაჟურ დამოკიდებულებას: ერთი, დაბალია ტოლერანტობა, რადგან თუ ადამიანი არის ეკლესიური (არ ვიტყვი რელიგიურს) და როგორ გითხრათ, ძალიან ტრაფარეტულად და პირდაპირ იგებს ნათქვამს, ეს პირველი გამომწვევია და მეორე, ის, რომ არ უღრმავდება ტექსტს და არ უთმობს დროს იმას, რომ გაეცნოს, წაიკითხოს და კარგად გაერკვევს, ეს მიზეზია.“* სათაური არის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი წიგნის ეპატაჟურად ქცევისთვის. ამის კარგი მაგალითია ერეკლე დეისაძის წიგნები: „საიდუმლო სირობა“, „ოთარაანთ ქვიარი“ და ა.შ. ან პაატა შამუგიას: „ანტიტყაოსანი“, „შიზოგადოება“, „დაუჯდომელი“. აი, რას ამბობს ამაზე პოეტი პაატა შამუგია: *„სათაურები, როგორც გითხარით, არის ნახევარი წიგნი და საერთოდ სათაური თუა „გოიმური“, მე მას არ წავიკითხავ....აი „ანტიტყაოსანი“ საერთოდ არ იყო ეპატაჟური და სათაურმა მოახდინა ეფექტი. მე დღემდე ვკითხულობ ხოლმე და სულ მაინტერესებს რა შეიძლება იყოს ეპატაჟური სათაურის გარდა. სათაური არის კი ბატონო, ამ სათაურმა გამოიწვია ყველა და ყველაფერი.“*

კითხვაზე აქვს თუ არა უფლება მწერლას შეეხოს ნებისმიერ თემას და წეროს ყველაფერზე, რაზეც უნდა, გამოკითხულთა 71.1% ამბობს, რომ აქვს ამის უფლება, 19.3-ის აზრის, არ აქვს, ხოლო 9.6%-ს უჭირს პასუხის გაცემა.



მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შინაარსის კითხვა სხვა ფორმატითაც დავსვი: შეკითხვაზე, უნდა არსებობდეს თუ არა საკრალური, ხელშეუხებელი თემები, რომლებზეც არავინ არ დაწერს. აქ მონაცემები ცოტათი განსხვავებულია: 43.4% ფიქრობს, რომ ასეთი თემები არ უნდა არსებობდეს (აქაც, როგორც წინა კითხვის დროს ეს პასუხი ლიდერობს), 39.8%-ის აზრით, საკრალური თემები, რომელზეც არავინ დაწერს, უნდა არსებობდეს. თუ წინა კითხვის დროს 19.3% ამბობდა, რომ მწერალს არ აქვს უფლება ყველაფერზე წეროს, აქ ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია. ასევე თითქმის გაორმაგებულია გადაუწყვეტელი რესპონდენტების რაოდენობა 16.9%-ს შეადგენს.



კითხვაზე, თუ რომელი თემების მიმართაა მგრძნობიარე საზოგადოება, შემდეგნაერი პასუხები მივიღე: უმრავლესობის, 34.9%-ის აზრით, საგანსაკუთრებით მგრძნობიარეა, როდესაც ვინმე ეხება რელიგიურ თემებს. ეს შეიძლება იყოს სახარების მხატვრულ ტექსტად გადაკეთება, როგორც მოიქცა, მაგალითად ჟოზე სარამაგუ თავის „იესოს სახარებაში“ ან ერიხ ემანუელ შმიტი „პილატეს სახარებაში“, კაზანძაკისი „ქრისტეს უკანასკნელ ცდუნებაში“ და ა.შ. 21.7%-ის აზრით, საზოგადოებაში მღელვარებას იწვევს პატრიარქზე და ზოგადად ეკლესიაზე რამის დაწერა. ამ შემთხვევაში, რელიგია და ეკლესია გამიჯნულია ერთმანეთისგან. თუმცა ორივე იწვევს მღელვაებას. ლაშა ბუღაძე ეკლესიის თემაზე ამბობს: *„მაგალითად თუ ვიტყვით, რომ საპატრიარქოში კორუფციაა. ვიღაცა აღიქვამს ამას ეპატაჟურად. ვიღაცა აკურთხებს ჯიპს, ეპატაჟი არ არის ეს, ერთი მხრივ, ეს არის რეალობის აღწერა. მეორე მხრივ, თუკი ადმიანმა თქვა, რომ იცით რაც ხდება არის ძალიან გაუმჭვირვალე, იყენებს საპატრიარქოს ნაწილი თავის გავლენას, იმისათვის რომ მეტი ძალაუფლება მოიხვეჭონ, მეტი ფული დააგროვონ და შესაბამისად გაავრცელონ ანტისაზოგადოებრივი და შესაბამისად ანტისახელმწიფოებრივი იმპულსები და ეს არ ეხება არანაირად რელიგიას. ვიღაცას*

შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს არის ეპატაჟური ადამიანი, ჟურნალისტი ან მწერალი ვინც დაიწყო ამაზე ლაპარაკი მიიჩნიოს ეს ეპატაჟად." გამოკითხულთა 15.7%-ს მიაჩნია, რომ სექსუალური სცენების აღწერა ასევე იწვევს დიდ ეპატაჟს საზოგადოებაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ მწერლებს, როგორებიცაა ფრედერიკ ბეგბედერი ან მიშელ უელბეკი ხალხი დიდი სიხარულით დახვდა და დარბაზები, სადაც მათი შეხვედრა იყო, სავსე იყო. უცხოელი მწერლების შემთხვევაში, სექსუალური სცენების აღწერა არავის არ აწუხებს (სხვა რამ, როგორიცაა ისლამოფობია ან ქალთმოძულეობა) შეიძლება შეაწუხოთ და ამაზე კითხვაც დასხვან, მაგრამ არა ძალიან გულახდილ და ღია სექსუალური აქტების აღწერები.





მომდევნო კითხვა იყო ასევე ღია, რესპონდენტებს ვთხოვე დაესახელებინათ მწერლები (არ აქვს მნიშვნელობა ეთნოსს), რომლებმაც ყველაზე დიდი ეპატაჟი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. აქაც, 26.1% დაიკავა ერეკლე დეისაძემ, რომელმაც გადაასწრო მაგალითად დენ ბრაუნს. ეს უკანასკნელი კი იმდენად ეპატაჟური იყო მთელს მსოფლიოში, რომ საქმეში კათოლიკური ეკლესია ჩაერთო და მოუწოდა ხალხს არ წაეკითხათ ეს წიგნი. ფილმის გამოსვლისას, საქართველოშიც, კინოთეატრთან იდგნენ მმკ-ს წარმომადგენლები და ხალხს ეუბნებოდნენ, არ შესულიყვნენ. ამაზე პოეტი პაატა შამუგია ამბობს: *„გააჩნია საზოგადოებას. ამერიკულ საზოგადოებაში ოდნავ სექსისტური ტექსტიც კი გამოიწვევს მძაფრ რეაქციებს. რელიგიური თემა ყველა საზოგადოებაში მუშაობს. თან თუ ეხება ფუნდამენტურ, აბრაამულ რელიგიებს. ეს იწვევს ძალიან დიდ რეაქციებს, გასაგებია მუსლიმური სამყარო უფრო რადიკალურად უდგება ამ ყველაფერს და რამდენიმე პოეტი შეეწირა, მათ შორისაა მხატვარი აშრამ ფაიადი, რომელმაც წაიკითხა ათეისტური ლექსი და ამის გამო*

სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მაგრამ რეალურად ამერიკაშიც ხდება , ინგლისშიც ხდება. იოზეფ კულმანმა გამოსცა ესეთი წიგნი: „კარგი იესო და ნაძირალა ქრისტე“ და დიდი ამბავი მოჰყვა ამას, ასევე - „და ვინჩის კოდი“ როგორ მოქმედებდა ეს წიგნი ბევრ ქვეყანაში, არა მხოლოდ საქართველოში. მაშინ კინოთეატრში დადგა ხალხი და აპროტესტებდა. ეს კაია რომ აპროტესტებდა, მთავარია ვინმეს არ სცემონ, თორემ პროტესტი ზოგადად კაია. აღარაფერს ვამბობ ჯ.კ. როულინგზე. ამის მიუხედავად, საქართველოში, მაინც ყველაზე ეპატაჟურად წარმოშობით ქართველი მწერლებიცხადდებიან, დეისაძე 26.1%-ით და ბუღაძე 23.2%-ით.

რესპონდენტებს ვკითხეთ, რა კრიტერიუმები აქცევს წიგნს ეპატაჟურად. 47.8%-ის აზრით, ნებისმიერი თემა შეიძლება გახდეს ეპატაჟური. 8.7%-ის აზრით, ეს არის სათაური. ამაში სხვადასხვა მწერალიც ეთანხმება რესპონდენტებს. ერეკლე დეისაძემ კითხვაზე, კითხულობს თუ არა ხალხი მის წიგნს თუ უფრო მეტად, სათაური ახდენს გავლენას, გვიპასუხა: *„ვერ წაიკითხავს, იმიტომ რომ ეგ წიგნი არ არის და მთავარი ტრიუმფი მაგ წიგნში სწორედ ის არის, რომ წიგნი წაკითხული არ აქვთ და ისე არსებობს, რაღაცა ღმერთს გავს, სწამთ, იციან რომ არსებობს, მაგრამ ნანახი არავის არ ჰყავს.“* ლაშა ბუღაძემ წიგნის სათაურის გავლენის შემდეგი რამ თქვა: *„რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად. უმეტესად არაა ხოლმე ეს წიგნი წაკითხული. რადგან ბევრ დიდ*

ლიტერატურულ ტექსტზე გამოხატულა აღშფოთება. მაგალითად სალმან რუშდის სატანური ლექსები, ცნობილი რომანი, 1989 წელს ამ რომანის გამო ფატვა გამოუცხადეს. თქვენ გგონიათ, რომ იმ ადამიანებს წაკითხული ჰქონდათ ეს ურთულესი რომანი? ჯოისის და მაგიური რეალიზმის გამოცდილება რომ შევაერთო, ისეთია, ურთულესი წასაკითხია, ის კი არა, გამობრძმედილ და გამოცდილ მკითხველებს უჭირთ, მაგრამ სათაურია: „სატანური ლექსები“ და თქვა სასულიერო პირმა, რომ აქ არის შეურაცხყოფა წინასწარმეტყველისა, მორჩა. რა არი, როგორ არის, მწერალი როგორ ამბობს ეს აღარავის აინტერესებს. ეხლა მე ყველაზე მძიმე მაგალითი მოვიყვანე იმის საჩვენებლად, რომ სათაური მოქმედებს.“ კვლევაში გამოკითხული ექსპერტი, ეკატერინე ტოგონიძე, ამბობს: *„სხვათაშორის ლოგიკური იქნებოდა, რომ როცა დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, მერე იმან უნდა მიგიყვანოს იქამდე, რომ შენ ადედანს გაეცნო, მაგრამ არა, როგორც წესი, მასა კმაყოფილდება გავრცელებული ინფორმაციით, სათაურით. ზუსტად იმიტომ არის საზოგადოების რეაქცია ბლაგვი და აგრესიული, რომ არ უღრმავდებიან საკითხს. მათ მსჯელობაშიც ჩანს ხოლმე, რომ ან არ იციან საკითხი, რაზეც ლაპარაკობენ, არიან არა კრიტიკული , არამედ აგრესიული.“*



კითხვაზე კითხულობენ თუ არა თანამედროვე ლიტერატურას, სადაც დიხოტომიური პასუხები იყო: („დიახ“ და „არა“), 76.8% - მა განაცხადა, რომ კითხულობენ, ხოლო 23.3%-მა თქვა რომ არა. თუმცა, ასეთი მაღალი პროცენტი ნაკლებადაა სარწმუნო და აქ უფრო მეტად სოციალური სასურველობის ეფექტი მუშაობს, რადგან იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც თქვეს, რომ კითხულობენ თანამედროვე ლიტერატურას, ბევრმა ღია კითხვისას თქვა, რომ ეპატაჟური მწერალი არის: „გოჩა დეისაძე“, რომ ბუღაძემ დაწერა: „თამარ მეფემ“, ასევე დათო ტურაშვილმაც დაწერა: „თამარ მეფე“, ხშირად ბუღაძეს „აბრალებენ“, რომ დაწერა: „ქართლის დედა“ და ა.შ. ამაზე მსგავსი მოსაზრება გააჩნიათ თავად მწერლებსაც. ლაშა ბურაძე *ამბობს: „სწორად აღნიშნეთ, ეს იგი არ წაუკითხავთ. ეს არის ფენომენი, რომელიც საბჭოთა კავშირში დაიბადა, არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ.“*



კითხვაზე, თუ რა სიხშირით კითხულობენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, მკითხველის 68.1%-მა თქვა, რომ თვეში ერთხელ კითხულობენ. 17.4%ს საერთოდ არ

კითხულობს, 10.1% კვირაში ერთხელ მაინც, 2.9 - ყოველდღე, ხოლო 1.4-ს უჭირს პასუხის გაცემა.



გამოკითხულთა 4.3% -ს ძალიან მოსწონს თანამედროვე ქართული ლიტერატურა, 21.7%-ს მოსწონს თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ჯამში 26%-ს მოსწონს ქართული ლიტერატურა. 10.1%-ს ძალიან არ მოსწონს თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ხოლო 17.4-ს არ მოსწონს თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ჯამში 27.1%-ს არ მოსწონს თანამედროვე ქართული ლიტერატურა, რაც აღემატება იმათ, ვისაც მოსწონს თანამედროვე ქართული ლიტერატურა. ყველაზე დიდი პროცენტი კი ნეიტრალურ დამოკიდებულებას აქვს, ანუ მათ, ვისაც არც მოსწონთ და არც არ მოსწონთ, სულ 46.4%, თითქმის გამოკითხულთა ნახევარი.



კითხვაზე, არის თუ არა ეპატაჟი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, უმეტესობამ, ანუ 60.9%-მა განაცხადა, რომ შეხვედრია, მაგრამ იშვიათად. 33.3%-მა თქვა, რომ არის, თანაც უხვად და 5.8%-მა თქვა, რომ საერთოდ არ არის. უმრავლესობის აზრს ეთანხმება მწერალი ეკატერინე ტოგონიძეც: *„ქართული ეპატაჟი არის გაცილებით უფრო მოკრძალებული, ვიდრე უცხოური ეპატაჟი, გაცილებით შეზღუდული და მცირე. საქართველოში, ალბათ გაცილებით ნაკლები ხელოვანი იქნება, რომელიც ეპატაჟის ხერხს მიმართავს, ვიდრე მაგალითად ევროპულ ქვეყნებში, სადაც გაცილებით მსუბუქად უყურებენ ამ საკითხს და უფრო თავისუფლად და ლაღად გრძნობენ ხელოვანები თავს საკუთარი პოზიციის გამოხატვისას. ჩვენთან ისევე, როგრც განვითარებად საზოგადოებაში და საზოგადოებაში, სადაც რელიგია არის ძალიან მნიშვნელოვანი, ასეთი შემთხვევები არის უფრო თითზე ჩამოსათვლელი და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე ვთქვათ სხვა ქეყანაში, სადაც ეს მეტი ხდება და ადამიანებიც უფრო მიჩვეულები არიან ამ ფორმას....კანონზომიერია, იმ საზოგადოებიდან გამომდინარე, რომელშიც ვცხოვრობთ, რომელშიც აღვიზარდეთ, უახლესი ისტორიიდან გამომდინარე. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც გადაბრუნებულ სიტყვას ან თუდნაც აზრის დაფიქსირებას შეიძლება მოჰყოლოდა დასმენა და ადამიანის ბედისწერის შეცვლა. ეს დაღი, ჩემი აზრით, მოჰყვება ჩვენ თაობებსაც.შეიძლება პირადად არ ქონდეს ეს*

გამოცდილი, მაგრამ შენს ისტორიულ მეხსიერებას ეს ახსოვს. ამიტომ ეს არის ბუნებრივია და მე ვფიქრობ, დროთა განმავლობაში უფრო მისაღები თუ არა, უფრო ნაკლები რეაქციის გამომწვევი იქნება. და თუ ნაკლები რეაქცია მოყვება და ეპატაჟს უყვარს რეაქცია, ნაკლები რეაქციის შემთხვევაში, შეიძლება ისეთი ეფექტურიც აღარ იყოს. შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა გაიგოს, რადგან მძაფრი და ნეგატიური რეაქცია განაპირობებს უკვე ამ ფორმის ამ კონკრეტული ნაწარმოების ტირაჟირებას და ხშირად, სწორედ ამ ფორმით იგებს ხოლმე საზოგადოება ამ წიგნის თუ ნახატის თუ რაიმე პროდუქტის შესახებ და შეიძლება ვერც გაიგო, რომ ყოფილიყო ლიტერატურულად ღირებული, მაგრამ არაეპატაჟური.“



კითხვაზე, მოსწონთ თუ არა რესპონდენტებს ეპატაჟურლი ლიტერატურა, 2.9%-მა განაცხადა, რომ ძალიან მოსწონთ, ხოლო 8.3%-მა თქვა რომ მოსწონს, რაც ჯამურად 11.6%-ს წარმოადგენს. მაშინ, როდესაც 33.3%-ს არ მოსწონს ეპატაჟური ლიტერატურა, ხოლო 23.2%-ს ძალიან არ მოსწონს ეპატაჟური ლიტერატურა, რაც ჯამში 56.6%-ს წარმოადგენს. 29%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს ამ საკითხის მიმართ.



კითხვაზე, თუ რამდენად სასარგებლოა ეპატაჟურლი ლიტერატურის არსებობა მწერლობის განვითარებისთვის, ასეთი შედეგი მივიღეთ: 8.7% ფიქრობს, რომ ძალიან სასარგებლოა, ხოლო 11.6% ფიქრობს, რომ უფრო სასარგებლოა, ვიდრე არა. ჯამურად 20.3% ფიქრობს, რომ ეპატაჟური ლიტერატურის არსებობა სასარგებლოა საზოგადოების განვითარებისთვის. 24.6%-ს მიაჩნია, რომ უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო, ხოლო 1.4%-ის აზრით, ძალზე საზიანოა. ჯამში 26% თვლის, რომ საზოგადოებისთვის უმჯობესია, თუ ეპატაჟური ლიტერატურა არ იარსებებს. 31.9%-ს მიაჩნია, რომ არც საზიანოა და არც სასარგებლო, ხოლო 21.7%-ს უჭირს პასუხის გაცემა. მწერლებს ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები აქვთ, რომლებიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. ერეკლე დეისაძე: *„აუცილებელია, იმიტომ რომ როდესაც ნებისმიერ სივრცეში რაღაც დაკანონებული ნორმები არსებობს, აუცილებელია ვენტილაცია, თორემ ის დამყაყდება და უჰაერობა სადაცაა, რაც არ უნდა კარგი იყოს მაინც გვხუთავს. ისეთ აკადემიურ სივრცეში, როგორიც ქართული საზოგადოებაა, ეს ნაღმები ქმნიან პრეცენდენტებს და ესენი კი ცვლილებას იწვევენ.“* პაატა შამუგია: *„უდავოდ, უპირობოდ კარგი არის. გააჩნია რა მეთოდით მიუდგებით*

ამ საკითხს. მაგალითად, ისტორიული შედარების მეთოდით თუ მოუყვებით და მივყვებით დროს, ეპოქას იქ რა ხდებოდა, როგორი ლიტერატურა იყო, თითქმის ყველა ლიტერატურა იყო ეპატაჟური. რუსთაველიც ეპატაჟური იყო, მას საუკუნეების მანძილზე ძალიან დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას ელიტები და იმ დროს ერთადერთი ელიტა არსებობდა - სასულიერო ელიტა, ეკლესია. და ბუნებრივია რომ მას შემდეგ იყო გურამიშვილი, რომელიც ასევე ეპატაჟურია, წერეთელი, რომელიც მთავარი „ეპატაჟნიკი“ იყო თავისი დროის, ჭავჭავაძეც ეპატაჟური იყო, ბუნებრივია რასაც ამბობდა იყო სრული შოკი ქართული საზოგადოებისთვის. ჩვენ არც სახელმწიფო ვიყავით მაშინ, ყველაფერი ამ კაცმა შექმნა, გამოიგონა. არაფერი არ არსებობდა, ბანკი არ არსებობდა, კითხვა არ იცოდნენ და მოვიდა კაცი და თქვა, მე ეხლა კითხვა უნდა გასწავლოთ, ხალხი გაგიჟდა, ამბობდნენ: რაში გვჭირდება კითხვა და ა.შ. ყველა მისი იდეა რეალურად იყო ეპატაჟური და ამ იდეებმა მოიყვანა საქართველო, კიდე კაი ეგ კაცი დაიბადა, თორე კაციშვილი არ იყო არაფრის გამკეთებელი.“ ეკატერინე ტოგონიძე: *„განვითარება იმდენად მრავალხმრივი პროცესია, რომ ზუსტი რეცეპტის თქმა რთულია, როგორი ლიტერატურა სჭირდება განსავითარებლად. ვიცით რომ სჭირდება ღირებული ლიტერატურა. ეპატაჟური ლიტერატურაც შეიძლება იყოს ღირებული ლიტერატურა. ყველაზე მეტად ადამიანს რაც სჭირდება განვითარებისთვის, ეს არის თავისუფლება. - სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და შესაბამისად ეს თავისუფლება თუა დაცული, მაშინ ეპატაჟი არის განვითარების წინაპირობა.“*



კითხვაზე, უწყობს თუ არა ხელს ეპატაჟური ლიტერატურა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, 7.2%-მა განაცხადა, რომ ძალიან უწყობს, ხოლო 26.1%-მა თქვა რომ უფრო უწყობს, ვიდრე უშლის, ჯამში 33.3% ფიქრობს, რომ ეპატაჟური ლიტერატურა კარგია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის. 2.9%-ს მიაჩნია, რომ ძალიან უშლის ხელს, ხოლო 21.8-ს მიაჩნია, რომ უფრო უშლის ხელს, ვიდრე უწყობს. ჯამში 24.7% უარყოფითადაა განწყობილი ეპატაჟური ლიტერატურის ხელშეწუობის მიმართ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით. პაატა შამუგია ამ თემაზე ამბობს: „საერთო ჯამში, მგონია, რომ ყველა ჩვენგანის გამოსვლებმა ქნა ის რომ გავაფართოეთ გამოხატვის ზღვარი, გავწიეთ რაც შეიძლება შორს. ანუ დღეს აღარ ვარდებიან რაღაც თემებზე. ამ თემებზე უკვე გახსნილია დისკურსია. ამიტომ კი, მოვახერხეთ.“



კითხვაზე - მოახდინა თუ არა გავლენა ეპატაჟურმა ლიტერატურამ ქართულ საზოგადოებაზე, გამოკითხულთა 17.4% ამბობს, რომ დიდი გავლენა მოახდინა, 13%-ის აზრით, არანაირი გავლენა არ მოუხდენია, 40.6%-ის აზრით, მოახდინა, მაგრამ უმნიშვნელო, ხოლო 29%-ს უჭირს პასუხის გაცემა. ერეკლე დეისაძე ამ თემაზე ამბობს: *„მოახდინა და რაც მთავარია, პროცესები გამოიწვია სოციალურ-კულტურულ-პოლიტიკური. გვახსოვს ორგანიზაციები, რომლებიც ამ წიგნს წვავდნენ. მერე გააკეთეს აქციები, ქუჩები გადაკეტეს, ანუ ეს კულტურული ჭრილიდან გადავიდა პოლიტიკურ ჭრილში, ამაზე დიდი ლიტერატურამ რა უნდა გააკეთოს. ჩემთვის რეაქციული ლიტერატურა არის ის მთავარი ლიტერატურა, რაც გვჭირდება.“* ლაშა ბუღაძე ამბობს: *„საზოგადოებაზე არ ვიცი, მაგრამ ჩემზე დღესაც განაგრძობს, ვრცელდება ეს გავლენა ჩემზე, ჩემი შეფასების კუთხით ან ჩემდამი დამოკიდებულების კუთხით ან საერთოდ ფენომენის კუთხით. რა ხდება როდესაც ადამიანი იდენტობის ელემენტებს ეხება, რომელიც დამოკიდებულია წარსულთან, ისტორიასთან და რატომ არის ასეთი ტრამვული დამოკიდებულება ამ ნიშან-*

სიმბოლოებთან, როგორიც არის მაგალითად თამარ მეფე ან სხვა. ანუ ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის ძალიან საინტერესო და ალბათ რაღაც კუთხით ეს როგორც ტრამვა, ახდენს გავლენას, რომელიც შეგვიძლია ჩავთვალოთ გარკვეულ გამოცდილებადაც. შესაძლოა რომ პრობლემა უნდა გამოჩნდეს, რომ ეს პრობლემა გადაილახოს, პრობლემა თუ არ ჩანს, არ ჩანს გზები მისი გადალახვის. ამიტომ, როგორც გამოცდილება, შესაძლოა გარკვეულ გავლენას ახდენდეს დღესაც."
ეკატერინე ტოგონიძე: *„ალბათ მოახდინეს. თუნდაც ის რომ ერთმანეთზე მოახდინეს შემდგომში გავლენა, ერთმანეთსაც გააბედინეს,. თან როდესაც რაღაცა ხდება უფრო ხშირად ვიდრე ადრე, ეს მოვლენა სიმძაფრეს კარგავს, ხალხსაც ეჩვევა და რაღაცნაერად იწყებს ამის გადამუშავებას და გაანალიზებას. ამდენად თუნდაც იმის განვითარებას უწყობს ხელს, რომ დარწმუნდე რომ ყველა ერთნაირად არ ფიქრობს და მათ გამოხატვის უფლება აქვთ, ანუ საპირისპირო აზრის გამოხატვის უფლება აქვთ და შენ შეგიძლია არც კი სცე პატივი, მაგრამ არ გაქვს უფლება რომ მას მიაყენო სხვადასხვანაირი შეურაცხყოფა. ყოფილა ფიზიკური შეურაცხყოფის მაგალითებიც."*
პაატა შამუგია: *„რა თქმა უნდა იყო. ყველა ავტორის მიზანია, რომ რაღაც გავლენა მოახდინოს. ერთი რამე დაზუსტებით ვიცი, რომ ახალგაზრდა პოეტებზე მოვახდინე გავლენა და ქართულ საზოგადოებაზე არ ვიცი, საერთო ჯამში, მგონია, რომ ყველა ჩვენგანის გამოსვლებმა ქნა ის რომ გავაფართოეთ გამოხატვის ზღვარი, გავწიეთ რაც შეიძლება შორს. ანუ დღეს აღარ ვარდებიან რაღაც თემებზე. ამ თემებზე უკვე გახსნილია დისკურსია,. ამიტომ კი, მოვახერხეთ. არა მარტო მე, წინაპრებიც მყავდნენ თანამედროვეობიდან და დათო ბარბაქაძე, რომელმაც დაწერა „ტრფობა წამებულთა" არაჩვეულებრივი ტექსტი და რომელმაც გამოიწვია ძალიან დიდი დისკურსია, ჰაგიოგრაფიული ტექსტების საოცარი პაროდიით. მაშინ 90იანებში, როდესაც ხალხს პური შიოდა და რიგები იდგა, ამაზე ლაპარაკობდა მთელი თბილისი. ვხვდებოდი რომ ხალხი აღშფოთებული იყო, მაშინ ალბათ მეც აღვშფოთდებოდი,. შემდეგ მოყვა - ზაზა იყო, ლაშა იყო, ეკო იყო, ეკომდე მე იყავი..."*



კითხვაზე, მოახდინა თუ არა ეპატაჟურმა ლიტერატუამ გავლენა თქვენზე, გამოკითხულთა თითქმის ნახევამა (49.3%), განაცხადა, რომ არანაირი გავლენა არ მოუხდენია მათზე, 14.5%-ს უჭირს პასუხის გაცემა, 7.2%-ზე დიდი გავლენა მოახდინა, ხოლო 29%-ზე მოახდინა უმნიშვნელო გავლენა.

მომდევნო კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ მხოლოდ მათ, ვისზეც გავლენა მოახდინა ეპატაჟურმა ლიტერატურამ; დავინტერესდი, თუ რა ტიპის გავლენა მოახდინა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ უმეტესობის პასუხი იყო დადებითი ხასიათის, როგორიცაა: „განსხვავებული კუთხით დამანახა საკითხი“, „დამაფიქრა ისეთ თემებზე, რაზეც ადრე არ მიფიქრია“, „თურმე თამარიც ადამიანი ყოფილა“, „პოლემიკას მივყავართ ჯანსაღ აზრამდე“ და ა.შ.

კვლევის თვისებრივი ნაწილი

რაოდენობრივი კვლევის დასრულების შემდეგ ჩატარდა სიღრმისეული ეპიზოდური ინტერვიუები იმ მწერლებთან, რომლებიც დასახელდნენ ყველაზე უფრო ეპატაჟურებად რესპონდენტების მიერ. ასეთები იყვნენ:

1. ერეკლე დეისაძე;
2. ლაშა ბუღაძე;
3. ზაზა ბურჭულაძე;
4. პაატა შამუგია.

სამწუხაროდ, ამ კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ვერ მოხერხდა ზაზა ბურჭულაძესთან ინტერვიუს ჩაწერა, თუმცა შედგა სამ დანარჩენ მწერალთან. გარდა ამისა სიღრმისეული ინტერვიუ, რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე ჩავწერე მწერალ და ჟურნალისტ ეკატერინე ტოგონიძესთან. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი პოპულარული მწერალია საქათველოში და მის ირგვლი არ ყოფილა არანაირი აჟიოტაჟი, მიუხედავად იმისა, რომ ეხება სხვადასხვა პრობლემას, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემებს. მისი აზრები საინტერესო იყო რამდენიმე მიზეზის გამო. 1. თავადაც წერს; 2. მუშაობს ერთ-ერთი უნივერსიტეტის პიარის ხელმძღვანელად, შესაბამისად მუდმივად საქმის კურსშია საზოგადოების რეაქციების შესახებ და ადევნებს თვალყურს, თუ რა ტენდენციები არსებობს; ასევე, პირადად იცნობ მწერლებს, რომლებიც გამოვკითხე.

ინტერვიუების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოხდა ტრანსკრიპტების გაკეთება და მათი დამუშავება NVIVO პროგრამაში, სადაც მოხდა კოდირება. ქვემოთ არის კოდირების სქემა მოყვანილი:



თვისებრივმა კვლევამ წარმოაჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება: უპირველეს ყოვლისა, საქართველოში საზოგადოება შეიძლება აღშფოთდეს ნაწარმოების გამო მაშინ, როდესაც რეალურად არ აქვს წაკითხული წიგნი. ამის მაგალითია ლაშა ბუღაძის: „პირველი რუსი“, რომელიც ყველაზე ეპატაჟურ და „სამარცხვინო“ წიგნად სახელდება, თუმცა, როგორც რაოდენობრივი კვლევა აჩვენებს, მათი 90%, ვინც ამ წიგნს ყველაზე სკანდალურად ასახელებს, ვერც კი ამბობს სათაურს სწორად (ამბობენ „თამარ მეფეს“) და მოჰყავთ ისეთი ამონარიდები მოთხრობიდან, რომელიც რეალურად არ არსებობს. თავად მწერალი ამბობს: *„ძირითად შემთხვევაში ეს არის უფრო მანიპულირებული პოზიცია, კონკრეტული პოლიტიკოსების ან მედიის მიერ. ჩემი მოთხრობა არის იური ბოგოლიუბსკიზე და არა თამარ მეფეზე, პარლამენტში გამოხტა ხალხი, რომელმაც იძახა, რომ რელიგიას შეურაცხყოფა მიაყენეს, იმიტომ რომ მათ უნდოდათ ქულების დაწერა, მათ უნდოდათ იმ კუთხით საკუთარი თავის პოზიციონირება, რომ აი, ისინი იცავენ ტრადიციას, ისინი არიან სარწმუნოების*

დამცველები და მათ თემა სჭირდებოდათ. არა მგონია ისინი ესეთი ბრიყვები იყვნენ - ის დეპუტატები საკმაოდ განათლებული და გათვითცნობიერებული ხალხი იყო ზოგიერთი ამ ტექნოლოგიებში, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ ეხლა რაზე დავწერე მე ტექსტი თუ წაიკითხავდნენ და მათ წაიკითხეს. ეს იყო მანიპულირებული. დღესაც როგორც ხდება. მაგალითად რამდენიმე ხნის წინ ორმა დეპუტატმა გადაწყვიტა რომ შეიტანოს საკანონმდებლო ინიციატივა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის, ომების წაქეზების და ა.შ. აკრძალვაზე. რა საკვირველია ისინი ხვდებიან რომ ცენზურის სუნი უდის ამ ყველაფერს. მათ აღელვებთ გრძნობების შეურაცხყოფა მართლა? მათ აღელვებთ აქტუალობის დისკურსი საკუთარი თავისთვის აქაც ქულების ჩაწერა, აქაც უნდათ, რომ ცხვირი შეყონ ისეთ სფეროში, სადაც ილაპარაკებენ და რეზონანსს გამოიწვევენ. ანუ მე ვფიქრობ, რომ ყოველთვის, როდესაც სკანდალი მოჰყვება რაიმე ტექსტს, ეს სკანდალი არის ყოველთვის უფრო პოლიტიკური ხასიათის, ვიდრე ლიტერატურული. რეზონანსი არის ყოველთვის პოლიტიკური. - ასე იყო ოდითგანვე, ჩემზე კი არ ვლაპარაკობ." ლაშა ბუღაძემ წელს გამოსცა წიგნი, სახელად - "პატარა ქვეყანა", სადაც მოთხრობილი აქვს თავისი ბავშვბა, ყმაწვილობა და შემდგომი პერიოდი, თუმცა წიგნს მუდმივად თან გასდევს „პირველი რუსის" სკანდალის ამბები. შეიძლება ითქვას, რომ წიგნი ამაზეა. ეს თხრობა შემდეგნაერად იწყება, თუ რა ხდებოდა იმ დღეს საპატრიარქოში, როდესაც მწერალს ბოდიშის მოხდას სთხოვდნენ:

„ასე მახსოვს, იმ კაცმა, რომელიც მუხის მაგიდასთან იდგა, უჯრიდან ორი ცალი ფურცელი ამოიღო და გაღიმებულმა მომმართა:

„-აქ, - თითი დაადო მარცხენა ფურცელს, - მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთის განცხადებაა დაწერილი. თუკი საჯაროდ არ მოუხდი ბოდიშს ხალხსდა ეკლესიას, წმინდა სინოდს ამ ტექსტის გასაჯაროება მოუწევს, რის შემდეგაც შენი განკვეთის პროცედურა დაიწყება. აქ წერია: „უარყოფს ცოცხალ ღმერთს, უარყოფს დედა - ეკლესიის კანონებს, დასცინის მორწმუნეთა გრძნობებს, აგინებს და

შეურაცხჰყობს მართლმადიდებელი ხალხის რწმენას, მართლმადიდებელ წმინდანთა დასს და წმინდად შერაცხილ წინაპართა ხსოვნას“, ხოლო აქ, - თითი დაადო მარჯვენას, - წმინდა სინოდი უძღებ შვილად მოგიხსენიებს, რომელსაც ხალხმა და დედა - ეკლესიამ შეუნდო.

- ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუკი საჯარო ბოდიი გვექნება, - შეგვახსენა ოთახის სღრმეში, ჩაბნელებულ კუთხეში მდგომმა არქიმანდრიტმა, - თუ არა და ... ანათემა.

- სერიოზულად ამბობთ? -ჰკითხა ვირაცამ, ვინც ჩემ უკან იჯდა.

- ხალხი წუხს...

განკვეთა.

ანათემა.

უძღები შვილი.

ის, ვინც ფურცელს დაჰყურებდა, დროდადრო ღიმილით ამომხედავდა ხოლმე და ვერ ვხვდებოდი, ტიკი ჰქონდა ასეთ თუ იმის თქმა ეუხერხულებოდა, რასაც ამბობდა.

მე საკმარისად დაღლილი და დაბნეული ვიყავი საიმისოდ, რომ გამეხმაურებინა, ან ზრდილობიანი პასუხი გამეცა მისთვის.

-საჯარო ბოდიში უნდა მოიხადო, - ისევ მისთვის ჩვეული ირონიული ღიმილით, აუღელვებლად გამიმეორა მაგიდის თავთან მდგომმა, - თორემ შეუძლებელი გახდება განრისხებული ხალხის დაწყნარება. ახლა ხომ ასე ადვილად კლავენ ადამიანებს...“[13]

ბუღაძის თქმით, ნებისმიერი სკანდალი ან ეპატაჟი არის, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური და არა ლიტერატურული.

[13] „პატარა ქვეყანა“, ლ. ბუღაძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ.6

იმას, რომ ეპატაჟი შეიძლება პოლიტიკური სახის იყოს,ვხედავთ „პატარა ქვეყანაში“, სადაც მწერალი აღწერს შემდეგ ეპიზოდს:

„ - ვინაა? - მკითხა.

ნომერს ვერ ვცნობდი, მაგრამ მაინც ვუპასუხე.

- რას შვები, აბა? - გაისმა ყურმილში ვიღაცის მაღალი რეგისტრის მაჟორულ-ინფანტილური შეკივლება...

  არც „გამარჯობა“, არც გამოცნაურება, არც მოკითხვა, პირდაპირ -თემა:

- მაგ მღვდლებს ნედლი წვერი აქვთ, ცეცხლი უნდა წაუკიდო ვწერზე და უცებ დაეწვებათ.

  და სტვენასავით გაბმული, ოპტიმისტური ფალცეტით გაიცინა...

  მერე კი ისევ: „რას შვები, რას შვები“ და ჩემი პასუხით სრული დაუინტერესებლობა.

- აი, ვარ მალვაში, - ისე ვუთხარი, რასაც სხვებს ვეუბნებოდი.
- ვინაა? -მკითხა დედაჩემმა ტუჩების მოძრაობით, უხმოდ.

  მეც არტიკულაციას მივმართე, მაგრამ ვერ მიხვდა.

- ცეცხლი ნედლ წვერზე, უკეთესს ვერაფერს იზამ, - გაიმეორა იმან ტელეფონში და რარაცნაირად მაიძულა, რომ გულწრფელად, მისნაირადვე გამცინებოდა.

  მეტი არაფერი. როგორც ილაპარაკა სხაპასხუპით, ასევე უცბად გაითიშა.

  დედაჩემს ვუთხარი, ვინც იყო, რის შემდეგაც მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ოთახიდან გავიდა.

  ....

  ერთ წელიწადში მას საქართველოს პრეზიდენტად აირჩევენ.

  ....

  წლების და კონტექსტების ცვლილების მერე, საქართველოს ახალი (მაგრამ ძველებურად შურისმაძიებელი) მთავრობის მიერ ძებნილი ექსპრეზიდენტი ისევ გაიხსენებს ჩემს ტექსტს, - ოღონდ ამჯერად დაუფასებლობით და

> კრიტიკით ნაწყენი, - და თავისი პარტიის ქალთა ორგანიზაციის წევრებთან online-ჩართვის დროს, მათი ერთსულოვანი ტაშისკვრის ფონზე, მისთვის ჩვეული სიამაყით და პრაგმატული სიბრაზით გამოაცხადებს: „თამარ მეფეზე რა დაწერა და მე რატომ უნდა ვუყვარდე - თანამედროვე საქართველოს შემქმნელი?!“[14]

დიდად განსხვავებული სურათი არ გვაქვს არც „საიდუმლო სირობის“ შემთხვევაში; აქაც ხშირად ვერ სახელდება ავტორის სახელი სწორად და რესპონდენტები (რაოდენობრივ კვლევაში) ეძახიან „გოჩას“. მეორე და მნიშვნელოვანი რაც დადგინდა არის ის, რომ რელიგიურ თემებზე შეხება იწვევს უდიდეს გამოხმაურებას, სკანდალსა და ეპატაჟს, იმის მიუხედავად წაკითხული აქვთ თუ არა ნაწარმოები. თავად დეისაძეც ამას ამბობს: „აბსურდი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ჟანრია, რასაც გაურბიან და ეგ არის ჩემი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღი; როდესაც სიტუაცია აბსურდულია, იქ ვერ დაიწყებ სერიოზულად თავის მართლებას და გაბრალებენ იმას, რაც არ გაგიკეთებია, იმიტომ რომ წიგნში ესე გიწერია, იქ ეხლა სერიოზული ლაპარაკი არაა ნორმალური. ამიტომ მგონია რომ მაგ აბსურდს აბსურდივე დავუპირისპირდე და გოჩაც ვარ, ერეკლეც და ირაკლიც, კაია.“

ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებისთვის მწერლის წარმომავლობას. იმას, რასაც „პატიობენ“ უცხოელ მწერალს (მაგალითად ჟოზე სარამაგუს წიგნების უმრავლესობა რელიგიურ თემებს ეხება, თუმცა საქართველოში დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია ამ წიგნების გამოსვლას), „არ პატიობენ“ ქართველ მწერლებს. ამის ნათელი მაგალითია ზაზა ბურჭულაძე. მას სხვა არაფერი გაუკეთებია, თუ არა სოფოკლეს: „ოიდიპოს მეფის“ სიუჟეტის „გადათამაშება“, გადმოტანა ქართულ რეალობაში, რაც ძალიან ხშირად მომხდარა ევროპაში და რაზეც მთელი ფროიდის თეორიაა დაფუძნებული, მაგრამ საზოგადოებას არავის მიმართ არ გასჩენია ისეთი აგრესია, როგორც ამ კონკრეტული მწერლის მიმართ. უფრო მეტიც, აქ აგრესია არა

[14] „პატარა ქვეყანა“ ლ. ბუღაძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 307-308

მხოლოდ სიტყვიერი იყო, არამედ, ფიზიკურიც: „გუშინ რუსთაველზე, საღამოს 8 საათზე მწერალ ზაზა ბურჭულაძეს დაუდგენელი პირი დაესხა თავს, სცემა და დაემუქრა“[15]



ქართული ეპატაჟი არის გაცილებით უფრო „მორიდებული“, ვიდრე დასავლური. თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ქართული საზოგადოება საკმაოდ მოწყვლადია და დიდი ხანი არაა, რაც თავისუფალი სიტყვა არ ისჯება, რეაქცია ასეთ წიგნებზე გაცილებით უფრო მძაფრია, ვიდრე დასავლეთში. ეპატაჟს დღესდღეობით იწვევს ტაბუირებული თემები, ისეთი, რომელზეც ღიად არ ვსაუბრობთ, რომელიც მეტნაკლებად ტაბუირებულია. მაშინ, როდესაც ლაშა ბუღაძემ ან ერეკლე დეისაძემ დაწერეს თავიანთი ნაწარმოებები, ყველაზე უფრო მგრძნობიარე საზოგადოება

[15] http://liberali.ge/news/view/7254/zaza-burchuladzes-tavs-daeskhnen

რელიგიური თემების მიმართ იყო, ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება, თუმცა ნელ-ნელა ემატება მას ისეთი თემა, როგორიცაა განსხვავებულის მიმართ შიში, უცხოს შიში, სწორედ ამის გამო, დღეს რელიგიაზე მეტად სკანდალს გამოიწვევს ჰომოსექსუალებზე წერა და ა.შ. რაც იმის გამო ხდება, რომ საზოგადოება ვითარდება, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ეპატაჟურმა მწერლებმა უკვე საკმაოდ გააფართოვეს ამ თემაზე სალაპარაკო სივრცე, არეალი. კვლევის შედეგები მიანიშნებს, რომ საზოგადოება მეტ-ნაკლებად ვითარდება ალტერნატივების მიმღებლობის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, დღესაც ბევრი წიგნი იწვევს ეპატაჟს, მაგრამ მწერლის ფიზიკური უსაფრთხოება აღარ დგას საფრთხის ქვეშ. ამის კარგი მაგალითია, ილიაუნის ლიტერატურული დაჯილდოება 2018, სადაც გაიცა ორი პრიზი, ერთი ლაშა ბუღაძეს გადაეცა წიგნისთვის: „პატარა ქვეყანა“, რომელიც მიეძღვნა სწორედ “პირველ რუსს“ და იმ მოვლენებს რაც ამ მოთხრობის ირგვლივ ვითარდებოდა; ხოლო მეორე ჯილდო ზურა ჯიშკარიანის წიგნს: „საღეჭი განთიადები“. თავად ავტორს დაჯილდოების ცერემონიალზე მაისურზე აფხაზეთის დროშა ჰქონდა გამოსახული. ამ ამბავს მოჰყვა რეაქცია საზოგადოებაში, საკმაოდ მწვავე, თუმცა სიტყვიერ შეურაცხყოფას არ ჰქონია ადგილი. არც ლაშა ბუღაძის პრემია გახარებია საპატრიარქოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი ფიზიკური შეურაცხყოფის გარეშე დასრულდა.

დასკვნა

ქართულ საზოგადოებაში ეპატაჟური შეიძლება გახდეს ყველაფერი ახალი. ნებისმიერი ახალი თემის მიმართ საზოგადოება საკმაოდ მგრძნობიარეა და რთულად ეგუება სიახლეებს, თუმცა ამ შეგუებას ხელს სწორედ სიახლეები უწყობს. აღნიშნული მოვლენა არ არის გასაკვირი იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოსთვის არც ისე შორეულ წარსულში (საბჭოთა პერიოდი), თავისუფალი სიტყვა, გამოხატვა დასჯადი იყო და არსებობდა ცენზურა. ყოველივე ეს - ჩაკეტილობა, შეზღუდვა, ჩარჩოები, რეჟიმი, ჯერ კიდევ, გავლენას ახდენს და მოჰყვება საზოგადოებას მექანიკურად. ეპატაჟური ლიტერატურის ერთ-ერთ ფუნქციას, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შოკურმა თერაპიამ სიახლეს მიაჩვიოს მკითხველი, დაანახოს მოვლენა განსხვავებული კუთხით, სხვა პერსპექტივით. ეპატაჟი თავის თავში გულისხმობს საზოგადოების გამოწვევას, გააქტიურებას და ალტერნატივების მიმართ ადაპტაციას.

ისეთი საზოგადოებისთვის, როგორიც ქართული საზოგადოებაა, სადაც დიდი გავლენა აქვს ეკლესიას, სამღვდელოებას, ნებისმიერი მსგავსი თემა შეიძლება ხდება ეპატაჟის, სკანდალის საგანი არა მხოლოდ ლიტერატურაში. ამ მხრივ, ქართული საზოგადოება არ განსხვავდება სხვა საზოგადოებებისაგან. პორტუგალიური საზოგადოება 90-იან წლებში იდგა მსგავსი გამოწვევების წინაშე, როგორც დღესაა საქართველო, ამიტომაც სწორედ იმ პერიოდში გახდა ძალიან პრობლემატური სარამაგუ, ამიტომაც ხდება პრობლემატური დღეს საქართველოში ეკლესიის თემაზე წერა.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა მწერალი ერთხმად თანხმდება, რომ ყველა დიდი მწერალი თუ წიგნი, ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული დღემდე, თავისი დროისთვის (და ზოგიერთი მათგანი დღესაც) იყო (არის) ეპატაჟური, გამაღიზიანებელი საზოგადოების რაღაცა ნაწილისთვის; თემატიკას განსაზღვრავს საზოგადოება. თუ ქართული საზოგადოებისთვის ეპატაჟურია სექსუალურ უმცირესობებზე წერა, ამერიკული საზოგადოებისთვის იმავე ეფექტს

არაპოლიტკორექტრული ტექსტი მოახდენს. თუკი ნაწარმოები თავის თავში არ მოიცავს გამოწვევას, სიახლეს, მაშინ რთულია ეს ნაწარმოები შეფასდეს, როგორც მაღალღირებული ნაწარმოები. დროსთან ერთად ეპატაჟიც ხუნდება, ფერმკრთალდება, რადგან ცვალებადია საზოგადოებრივი ნორმები და რჩება შიშველი ლიტერატურა, თუ ის არაა მუდმივად აქტუალური, მაშინ მივიწყებას მიეცემა, ხოლო თუკი არ კარგავს აქტუალობას, მიუხედავად სოციალური კონტექსტისა, დროისა თუ სივრცისა, მაშინ ის ხდება კლასიკა.

სამომავლოდ, საზოგადოების ღიაობის და მოდერნულობის ხარისხის ზრდასთან ერთად, ეპატაჟურობის ეფექტი მოიკლებს. ის, რაც ხშირად ხდება საზოგადოებაში, რაც აღარ არის უცხო, კარგავს აქტუალობას. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ეპატაჟი გაქრება და სკანდალს ვეღარაფერი გამოიწვევს. დღესდღეობით არსებული მთავარი პრობლემა ქართულ საზოგადოებაში - უცხოს მიმართ შიში რჩება, უბრალოდ „უცხოს“ ხან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ხდება, ხან ადამიანი, რომელიც ეკლესიას აკრიტიკებს, ხან ჰომოსექსუალი და ხანაც განსხვავებული ეთნოსის ხალხი.

დროთა განმავლობაში, ქართველი მკითხველი საზოგადოება დაემსგავსება დასავლურს და ისეთ ლიტერატურას, რომელსაც შეურაცხყოფად მიიღებს, უბრალოდ აღარ წაიკითხავს. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ როდესაც ბევრი მწერალი დაწერს ტაბუირებულ თემებზე, ეს თემები აღარ იქნება ტაბუირებული და ყველას შეეძლება საუბარი, არც ახალი მოვლენა იქნება, რამაც შეიძლება საზოგადოება გააკვირვოს. ასევე შეიცვლება ერთი ოდიოზური ტენდენციაც - წაუკითხავად წიგნის გაკრიტიკება მხოლოდ სათაურზე დაყრდნობით. ეს მოვლენა უცილობლად საბჭოთა ტრადიციას უკავშირდება - არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ... ასევე იმ ცენზურის და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო, რომელიც მაშინ იყო და რაც დღემდე მოყვება საზოგადოებას. დროის, თაობისა და კონტექსტის ცვლილებასთან ერთად ესეც აუცილებლად აღმოიფხვრება.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. ბუღაძე ლაშა: „პირველი რუსი“, თბილისი, არეტე, 2003
2. ბუღაძე ლაშა: „პატარა ქვეყანა“ , თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017
3. ერეკლე დეისაძე: „საიდუმლო სირობა“ თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010
4. პაატა შამუგია: „დაუჯდომელი“ თბილისი, სიესტა, 2011
5. პაატა შამუგია: „ანტიტყაოსანი“, თბილისი, 207 წელი.
6. ზაზა ბურჭულაძე: „ხსნადი კაფკა“ თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010
7. “Church attacks Portuguese Nobel Prize winner over new book” Tuesday 20 October 2009, Independent
8. “I stand by my words. And even more, I stand by my right to say them…” The Guardian Sun 23 Oct 2005 16.47 BSTFirst published on Sun 23 Oct 2005 16.47 BST

დანართი

ინვერვიუერი: თამუნა მეჭურჭლიშვილი

რესპონდენტი: ეკატერინე ტოგონიძე

ინტერვიუერი: როგორი დამოკიდებულება გაქვთ ეპატაჟის მიმართ ხელოვნებაში?

რესპონდენტი: ეპატაჟს აღვიქვამ ხელოვნების ერთ-ერთ საინტერესო გამოხატულებად, რომელიც შეიძლება ხანდახან იყოს მძაფრი, გარკვეული დისკომფორტი შეგვიქმნას, მაგრამ ამ სფეროს, ამ მიმდინარეობას, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენს, აქვს არსებობის უფლება. და თუ მაგალითად არ შელახავს ვინმეს ღირებას, ისე რომ უკვე მისი დარეგულირება შესაძლებელი იქნება კანონის ფარგლებით, რა თქმა უნდა უნდა არსებობდეს, რაც აკრძალული არ არის, იმას აქვს არსებობის უფლება.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, განსხვავდება თუ არა ქართული ეპატაჟი უცხოური ეპატაჟისგან?

რესპონდენტი: კი, გასნხვავდება. ქართული ეპატაჟი არის გაცილებით უფრო მოკრძალებული, ვიდრე უცხოური ეპატაჟი, გაცილებით შეზღუდული და მცირე. საქართველოში, ალბათ გაცილებით ნაკლები ხელოვანი იქნება, რომელიც ეპატაჟის ხერხს მიმართავს, ვიდრე მაგალითად ევროპულ ქვეყნებში, სადაც გაცილებით მსუბუქად უყურებენ ამ საკითხს და უფრო თავისუფლად და ლაღად გრძნობენ ხელოვანები თავს საკუთარი პოზიციის გამოხატვისას. ჩვენთან ისევე, როგრც განვითარებად საზოგადოებაში და საზოგადოებაში, სადაც რელიგია არის ძალიან მნიშვნელოვანი, ასეთი შემთხვევები არის უფრო თითზე ჩამოსათვლელი და უფრო მეტ ყურადღევბას იპყრობს, ვიდრე ვთქვათ სხვა ქეყანაში, სადაც ეს მეტი ხდება და ადამიანებიც უფრო მიჩვეულები არიან ამ ფორმას.

ინტერვიუერი: კარგია თუ ცუდია, თქვენი აზრით, „თავშეკავებული ეპატაჟი“, რომელიც არის საქართველოში?

რესპონდენტი: მე მგონი უფრო ბუნებრივი არის და კანონზომიერია, იმ საზოგადოებიდან გამომდინარე, რომელშიც ვცხოვრობთ, რომელშიც აღვიზარდეთ, უახლესი ისტორიიდან გამომდინარე. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც გადაბრუნებულ სიტყვას ან თუდნაც აზრის დაფიქსირებას შეიძლება მოჰყოლოდა დასმენა და ადამიანის ბედისწერის შეცვლა. ეს დაღი, ჩემი აზრით, მოჰყვება ჩვენ თაობებსაც.შეიძლება პირადად არ ქონდეს ეს გამოცდილი, მაგრამ შენს ისტორიულ მეხსიერებას ეს ახსოვს. ამიტომ ეს არის ბუნევბრივია და მე ვფიქრობ, დროთა განმავლობაში უფრო მისაღები თუ არა, უფრო ნაკლები რეაქციის გამომწვევი იქნება. და თუ ნაკლები რეაქცია მოყვება და ეპატაჟს უყვარს რეაქცია, ნაკლები რეაქციის შემთხვევაში, შეიძლება ისეთი ეფექტურიც აღარ იყოს. შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა გაიგოს, რადგან მძაფრი და ნეგატიური რეაქცია განაპირობებს უკვე ამ ფორმის ამ კონკრეტული ნაწარმოების ტირაჟირებას და ხშირად, სწორედ ამ ფორმით იგებს ხოლმე საზოგადოება ამ წიგნის თუ

ნახატის თუ რაიმე პროდუქტის შესახებ და შეიძლება ვერც გაიგო, რომ ყოფილიყო ლიტერატურულად ღირებული, მაგრამ არაეპატაჟური.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ეპატაჟურ ლიტერატურას თუ აქვს მხატვრული ღირებულება?

რესპონდენტი: კი, რა თქმა უნდა, შეიძლება ეპატაჟური ლიტერატურა იყოს ღირებული ლიტერატურა და ის რასაც ჩვენ ლიტერატურისგან ველოდებით, რომ მივიღოთ მისგან ემოცია, დაგვაფიქროს, გაგვაანალიზებინოს საკითხი და ახლებულად დაგვანახოს და გარკვეულ კათარზისამდე მიგვიყვანოს, შეიძლება ეს მოახეხოს ეპატაჟურმა ლიტერატურამ.

ინტერვიუერი: შეგიძლიათ გაიხსენოთ, ყველაზე უფრო ეპატაჟური წიგნი ან ავტორი ქართული ბოლოდროინდელი ლიტერატურადან?

რესპონდენტი: ხო ნუ, ერთ-ერთი არის ეკო დეისაძე, რომელიც ამ დროს გახსენდება, ზაზა ბურჭულაძეც, ლაშა ბუღაძეც, თუმცა ლაშა ბურაძეს მე ცოტა უფრო სხვა კატეგორიას მივაკუთვნებდი. ალბათ უფრო ეკო დეისაძე არის კლასიკური მაგალითი და ზაზა ბურჭულაძეც იყო. ის ასევე იყო ეპატაჟური თავისი ქმედებითაც. ვთქვათ პრეზენტაციის დროს, როგორი ქცევა ჰქონდა, როგორი პოზიციონირება ჰქონდა და მან განაგრძო კიდევაც ეს ნიშა, ოღონდ უკვე ბერლინში. როდესაც დავესწარი მისი წიგნის პრეზენტაციას, იქაც მისი ქცევა იყო ცოტათი უფრო მაპროვოცირებელი და ისეთი, რომელიც გათვლილია ცოტათი უხერხული ან აი ისეთი რეაქციის გამოწვევაზე, რომელიც ცოტა მოულოდნელობას შეიცავს აუდიტორიასთან მიმართებაში.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ხალხის მღელვარება რამ გამოიწვია? ამ გააკეთეს ამ ავტორებმა ისეთი, რაცხვებმა არ გააკეთეს?

რესპონდენტი: შეიძლება ეს ყოფილიყო სათაური, ტექსტში „უხამსობა“, ან რომელიმე ისტორიული ფიგურის მოხსენიება ჩვეულებრივი მოკვდავის დონეზე და მასზე წერა; შეიძლებოდა ეს ყოფილიყო სექსუალური აქტის დეტალური აღწერა, რომელსაც არაა მიჩვეული ქართული ლიტერატურა და ქართველი მკითხველი. და სხვათაშორის ენაც არ იძლევა ხოლმე ამის მოქნილ საშუალებას და ალბათ ეს ყველაფერი ტრიალებს რელიგიის გარშემო, რადგან ეს იდენტობა ადამიანების გარშემო წამოსულია რელიგიური ღირებულებებიდან. მისი ღირსებაც ხშირად დგას ამ რელიგიურ ფასეულობებზე, და შესაბამისად ამ ყოველი ესეთი მისი აზრით, თავდასხმა რელიგიურ და მორალურ ნორმებზე , აღიმება მისი შეურაცყოფა რელიგიურ და მორალურ ნორმებზე და იწყებს ამ ყველაფრის დაცვას, ხშირად ეს არის ხოლმე აგრესია და როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, არის ხოლმე ტექსტის წაუკითხავად წამოსული აგრესია, რომელიც ან სათაურით, ან წამოსული აზრის საფუძველზე გაუჩნდეს. ცოტა ადამიანი თუ ინტერესდება იმით, რა ეწერა იქ, ვთქვათ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებიც ხშირად იქმნება, ეხლა იყო ზუსტად, „ასავალ-დასავალმა“ ნინო თარხნიშვილის ტექსტიდან ამოგლიჯა პატარა ნაწყვეტი და ისე დაწერა, ისე დაბეჭდა და ისე გაავრცელა, რომ შეიცვალა მთელი აზრი და ელფერი, რაც ავტორს ჰქონდა ჩადებული ტექსტში. ესეიგი ორი რამ განაპირობებს: ერთი რომ დაბალია ხოლმე ტოლერანტობა, რადგან თუ ადამიანი არის ეკლესიაური (არ ვიტყვი რელიგიურს) და როგორ გითხრართ, ძალიან ტრაფარეტულად და პირდაპირ იგებს ნათქვამს, ეს პირველი გამომწვევი

და მეორე, ასევე ის რომ არ უღრმავდება ტექსტს და არ უთმობს დროს იმას რომ გაეცნოს, წაიკითხოს და კარგად გაერკვევს, ეს მიზეზია. არის იცით როგორი მიზეზი? როდესაც ბევრად უფრო კომფორტულია უმრავლესობის აზრს შეაფარო თავი და არ წახვიდე დინების წინააღმდეგ და შენ თვითონ არ გახდე ისეთი სიტყვების ავტორი, რომელსაც მერე დაცვა დასჭირდება. ბევრად უფრო ადგვილია გავრცელებულ აზრს მიენდო და შენც თქვა ის, რასაც უმრავლესობა ამბობს, რადგან უმრავლესობაში, გაცილებით უფრო დაცულად გრძნობ თავს და არ გიწევს შენი აზრის დასაბუთება. დასაბუთებას სჭირდება უკვე სიღრმე, დაკვირვება, გაცნობა, რაც მოიცავს უკვე მეტ ინტელექტს, დროს, ანალიტიკურ აზროვნებასდა ნუ აი ეს ყველაფერ ზედაპირზე ხდება.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ის ავტორები, რომლებიც ეპატაჟურები გახდნენ, ფიქრობდნენ წინასწარ რასაც გამოიწვევდა მათი წიგნები? თუ გამოიყენეს ეს როგორც საფეხური?

რესპონდენტი: ამას როგორც წესი ამბობს ხოლმე, თავად ავტორი და მე რაღაცნაერად ვენდობი ხოლმე მწერალს, რომელიც ამბობს, რომკი მე ამას ვაკეთებ ყურადღების მისაპყრობად და მე ეს მჭირდებოდა პოპულარობისთვის, იმისვის რომ შემდეგ რასაც ვიტყვი, იმას უფრო კარგად მოუსმენენ,არიან ავტორები, რომლებიც ძალიან გაკვირვებულები არიან თვითონვე, რომ მათ ნაწერს და ტექსტს მოყვა ასეთი რეაქცია, და არიან ავტორები, რომლებიც შეიძლება გააზრებულადაც აკეთებენ, მაგრამ მათი გამოხატვის ფორმა სრულიად ბუნებრივია, მათი ესთეტიკა, მათი გემოვნება არის ესეთი და მათ სათქმელს ასეთ ფორმას უძებნიან. და შეიძლება სულ არ ფიქრობენ იმ წუთას აუდიტორიაზე; იციან, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი რეაქცია, მაგრამ შექმნის პროცესში, აუდიტორიაზე ნაკლებად ფიქრობენ და მიყვებიან იმ მიმართულებას, რომელიც მათთვის ყველაზე სასურველია, რომელიც ყველაზე მეტად ხელეწიფებად, რადგან ეპატაჟსაც, როგორც ყველა სხვა დანარჩენ მიმართულებებს სჭირდებათ ნიჭი და ხელოვნა და მიყვებიან ამ გზას. შესაბამისად, სხვადასხვა მოტივაცია არსებობს ხოლმე.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ქართული საზოგადოებისთვის, აქვს მნიშვნელობა, ეპატაჟური ავტორის წარმომავლობას?

რესპონდენტი: კი ამას აქვს ხოლმე მნიშვნელობა, როგორც წესი, უფრო მკაცრია საზოგადოება ქართველის მიმართ, უფრო მეტად ავალდებულებენ რომ ქართველს ეს არ ეკადრება და ქართველმა ეს არ უყნდა გააკეთოს, ამაზე ხდება აპელირება და გაცილებით მსუბუქად იღებენ, მაგალითად უელბეკს, რომელიც გაცილებით ეპატაჟური და თამამი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე თანამოქალაქე, მაგრამ ის შორს არის, შეიძლება სულაც გარყვნილი ევროპიდან არის და შესაბამისად ფიქრობ, რომ ეს საფრთხე შენ არ გემუქრება, და როდესაც შენიანი იწყებს ამ საქმის კეთებას, იმას გაცილებით მტკივნეულად აღიქვამენ და მტკვნეულის გარდა, უფრო მეტად ბედავენ იყვნენ კრიტიკულები - ბედავენ აგრესიას ესე ვიტყვი. სოციალური ქსელი ამას ძალიან უწყობს ხელს. სოციალური ქსელში ადამიანი არის ძალიან ხელმისაწვდომი, შეგიძლია ანონიმურად მისწერო და ამან უფრო გაგათამამოს. ისევე როგორც, ხელოვნების გამოხატვის ფორმები იცვლება: მაგალითად კი არ დაბეჭდო, არამედ სტატუსად დადო ლიტერატურული ტექსტი, რომელიც შეიცავს ან არ შეიცავს ეპატაჟს, ერთი სიტყვით, კონტაქტი გაიზარდა მაყურებელთან. ტირაჟიც მალე ვრცელდება, შეძლება სააგენტოებმა გააზიარონ ეს ტექსტი და მალე იფარება აუდიტორია.

ინტერვიუერი: რომ ჩამოვაყალიბოთ 3-4 თემა, რომელიც შეიძლება გახდეს ყველაზე ეპატაჟური.

რესპონდენტი: აი, მაგალიტად პატრიარქზე რომ რამე დაწერო, ამას დიდი რეაქცია მოყვება, რადგან ის არის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ჩვენს საზოგადოებაში. ძალიან მგრძნობიარეა საზოგადოება სექსუალური უმცირსობის მიმართ, ასევე სექსუალური ცხოვრების საკითხების მიმართ. შეიძლება ეს არ იყოს უმცირესობაზე, მაგრამ ვიღაცამ მნიშვნელოვან ფიგურაზე და მისი პირადი ცხოვრების აღწერა ან ისე წაყვანა, მიაჩნიათ რომ მათ წარმოდგენებს სცდება, შეიძლება გახდეს ეპატაჟური. მაინც უფრო რელიგიის ირგვლივ ვტრიალებთ, რადგან ეს ის თემებია, რომლებსაც გვიკრძალავს რელიგია, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ეკლესია. კიდევ შეიძლება იყოს ინცესტი და ამის მაგალითი ზაზა ბურჭულაძეა ან ბესო ხვედელიძე.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, კარგია თუ არა საზოგადოების განვითარებისთვის ეპატაჟური ხელოვნების არსებობა?

რესპონდენტი: საერთოდ, განვითარება იმდენად მრავალხმრივი პროცესია, რომ ზუსტი რეცეპტის თქმა რთულია, როგორი ლიტერატურა სჭირდება განსავითარებლად. ვიცით რომ სჭირდება ღირებული ლიტერატურა. ეპატაჟური ლიტერატურაც შეიძლება იყოს ღირებული ლიტერატურა. ყველაზე მეტად ადამიანს რაც სჭირდება განვითარებისთვის, ეს არის თავისუფლება. - სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და შესაბამისად ეს თავისუფლება თუა დაცული, მაშინ ეპატაჟი არის განვითარების წინაპირობა.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ეპატაჟურმა ავტორებმა, მოახდინეს თუ არა რაიმე სახის გავლენა ქართულ საზოგადოებაზე?

რესპონდენტი: ალბათ მოახდინეს. თუნდაც ის რომ ერთმანეთზე მოახდინეს შემდგომში გავლენა, ერთმანეთსაც გააბედინეს,. თან როდესაც რაღაცა ხდება უფრო ხშირად ვიდრე ადრე, ეს მოვლენა სიმძაფრეს კარგავს, ხალხსაც ეჩვევა და რაღაცნაერად იწყებს ამის გადამუშავებას და გაანალიზებას. ამდენად თუნდაც იმის განვითარებას უწყობს ხელს, რომ დარწმუნდე რომ ყველა ერთნაირად არ ფიქრობს და მათ გამოხატვის უფლება აქვთ, ანუ საპირისპირო აზრის გამოხატვის უფლება აქვთ და შენ შეგიძლია არც კი სცე პატივი, მაგრამ არ გაქვს უფლება რომ მას მიაყენო სხვადასხვანაირი შეურაცხყოფა. ყოფილა ფიზიკური შეურაცხყოფის მაგალითებიც.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ზოგადად ლიტერატურა ახდენს თუ არა გავლენას ქართულ საზოგადოებაზე?

რესპონდენტი: აუცილებლად, ეს ორმხრივი პროცესია, საზოგადოება ახდენს გავლენას ქართულ ლიტერატურაზე და შემდეგ ლიტერატურა ახდენს გავლენას ცხოვრებას. მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა თემატიკა არის ჩემი ერთ-ერთი მთავარი თემატიკა და მაშინ, როცა ვარჩევდი ადგილს, თუ სად უნდა ჩამეტარებინა წიგნის პრეზენტაცია, თბილისში დავიწყე ისეთი ადგილის ძებნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი ადამიანისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ადამიანებსაც შეეძლება დასწრება ამ ღონისძიებაზე. აი ასეთი მცირე მაგალითებით რომ დავიწყოთ, ჩვენი ყოველდღიურობა და ყოფა მივდივართ გლობალურ ცვლილებამდე. რა თქმა უნდა, თუ ჰერტა მიულერის წიგნში მთავარი პერსონაჟი არის გეი, თუ კარგი მწერალია და არის ნამდვილად, ნობელიანტია, თუ კარგი მწერლის ნაწერის ღირსება ისაა რომ თანაგანცდას იწვევს, უკვე შედიხარ იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც განსხვავდება თუნდაც სექსუალური ორიენტაციით, იწყებ ამ ადამიანის გაგებას და ეს უცხოს შიში, რაც საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შიშია ნელნელა დაიძლევა ასე და მიხვდები რომ ის უცხო აღარაა, შეიძლება ცოტა სხვა გამოწვევები აქვს ცხოვრებაში ან სხვა ეპოქაში ცხოვრება. საერთოდ, ლიტერატურა იძლევა იმის საშუალებას, რომ რამდენიმე ცხოვრებით იცხოვრო და ეს ამდიდრებს ადამინს, ხდის უფრო მრავალმხრივს. ესე ფართოვდება მისი თვალსაწიერი. რა თქმა უნდა, ლიტერატურას შეუძლია რომ ადამიანებს სხვა ადამიანებს მოტივაციები უკეთ გააგებინოს, სხვა ადამიანის სულის წვდომა შეაძლებინოს და ამითი გახადოს ნაკლებად შეუმწყნარებელი.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ქართული საზოგადოება სხვა საზოგადოებებთან შედარებით, მკითხველი საზოგადოებაა?

რესპონდენტი: ჩემი აზრით, გარკვეული კვლევების საფუძლევზე შემიძლია ვთქვა, რომ დაბალია აქ კითხვის კულტურა. ამას აჩვენებს ვთქვათ ტრანსპორტი, საზოგადოებრივი ადგილები, სადაც შეგიძლია პირდაპირ უყურო მოქალაქეებს და წიგნებს მათ ხელში. წიგნების პოპულარიზაციას, ვფიქრობ რომ სხვადასხვა მხარემ უნდა შეუწყოს ხელი. ეს ვერ იქნება მხოლოდ გამომცემლობა, ან მხოლოდ წიგნის მაღაზია, მხოლოდ მედია, დღესდღეობით გარკვეული წინსვლა გვაქვს. ახალგზარდებს ხშირად შემიმიჩნევბია რომ მიაჩნიათ, რომ წიგნი არის ერთ-ერთი კარგი საჩუქარი. ასევე თუ იწერება ან ითარგმნება ის წიგნები, რომლებიც მათ აინტერესებთ, ან თუ ფილმები უყვართ, რომლის შემდეგაც წიგნს კითხულობენ, ესეც არის კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი. როცა კითხვის უნარ-ჩვევა გამოუმუშავდება, ამ ბევრი წაკითხულიდან რაღაცა ღირებულიც არის ხოლმე. არ მგონია რომ ადამიანი იყოს აქტიური მკითხველი და მხოლოდ ყვითელ და მდარე ლიტერატურას კითხულობდეს, ალბათ მოხვდება ხელში ისეთი წიგნი, რომელშიც საინტერესო რაღაცას აღმოაჩენს.

ინტერვიუერი: თქვენ თქვით, რომ საქართველოში არ კითხულობენ იმდენს, რამდენსაც სხვაგან. ამის გამოსწორებას შეიძლება შეუწყოს ხელი რამენაერად ეპატაჟურმა ლიტერატურამ?

რესპონდენტი: სხვათაშორის ლოგიკური იქნებოდა რომ კი, რადგან რაღაცა როცა დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, მერე იმან უნდა მიგიყვანოს იქამდე, რომ შენ ამ დედანს გაეცნო, მაგრამ არა ამავედროს, როგორც წესი, მასა კმაყოფილდება გავრცელებული ინფორმაციით, სათაურით. ზუსტად იმიტომ არის საზოგადოების რეაქცია ბლაგვი და აგრესიული, რომ არ უღრმავდებიან საკითხს. მათ მსჯელობაშიც ჩანს ხოლმე, რომ ან არ იციან საკითხი, რაზეც ლაპარაკობენ, არიან არა კრიტიკული , არამედაგრესიული. აი, გაცილებით დიდ პატივს ვცემ ადამიანს, რომელიც აკრიტიკებს ნებისმიერ ნაწარმოებს ან პროდუქს, ან მოვლენას და ეს არგუმენტები არის საფუძვლიანი: იცნობს საკითხს, უფიქრია ამ თემაზე და

არა უბრალოდ რაც არ ვიცი ის მძულს, ან კონტექსტიდან ამოგლეჯილი რაღაც რაც ათასნაერი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამიტომ ცოტა პესიმისტურად ვარ მაგ თემაზე განწყობილი რო არ ვთქვათ ეპატაჟი შეძლებს წიგნებამდე მიგვიყვანოს. ალბათ არის პატარა პროცენტი, რომელიც მოიმატებს, თუ ლიტერატურა თავისი ხასიათით ძალიან გაითქვამს სახელს, თუ ამას ეპატაჟით მოახერხებს, ძალიან პატარა ნაწილი მოემატება, მაგრამ გაცილებით მეტი შანსია, რომ გაიცნონ ის წიგნები, რომლებზეც ბევრი დადებითი ითქმება და ამას იტყვიან აზრის ლიდერები. იგივე პრემია საბაც ხელს უწყობს ხოლმე წიგნების გაყიდვის გაზრდას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეპატაჟი ჩვენ საზოგადოებაში არაა ის ინსტრუმენტი, რომელიც იწვევს წიგნების რაოდენობის გაყიდვის გაზრდას, ეს უბრალოდ იწვევს აგრესიას და ნამდვილად უსწრაფესი გზა არის პოპულარობის, ადამიანები დაიმახსოვრებენ სახელს და გვარს , რაღაცნაერი ფორმით დაამახსოვრდებათ ამ ადმაინის არსებობა. ხო, აი ძირეულ ცვლილებას ვერ გამოიწვევს ეპატაჟი ჩვენს ქვეყანაში. იგივე ზაზა ბურჭულაძე, რომლის წიგნის პრეზენტაციაზც ვიყავი ბერლინში, ისეთი ნიშა ჰქონდა დაკავებული, რომ ვთქვათ მე ვარ ჩემი ქვეყნიდან დევნილი და მე მეუბნებოდნენ რომ შენ არ ხარ ქართველი და ეს ჩემთვის კომპლიმენტიც კია. ეს პოზიციონირება ჰქონდა, რომ ქართულთან ჰქონდა გაიგივებული ყველაზე ნეგატიური ასპექტები და ნუ მას ეხლა პირადად ძალიან ცუდი გამოცდილება აქვს, ფიზიკურადაც კი გაუსწორდნენ, შესაბამისად აქვს ამ ყველაფრის ლაპარაკის საფუძველი ალბათ და იქაური საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესოდ გამოიყურება, ვიდრე მაგალითად ავტორი, რომელსაც ესეთი ამებები არ აქვს მოსაყოლი. და იქ ესეთი მაგალითი რომ აქაური ეპატაჟის ავტორი იქ თავშესაფარი მოითხოვა იმიტომ რომ აქ დაბრუნება მას ფიზიკურ საფრთხეს უქმნის, თავისთავად ამ ავტორის მნიშვნლობას ზრდის და ნამდვილად უცხო საზოგადოებაში დაეხმარა პოპულარობის მოპოვებაში, მაგრამ საქართველოში, როგორც აქამდე იცოდნენ სახელი და გვარი ისე იციან ახლაც და შეიძლება ზუსტად იმდენივე ადამიანს ჰქონდეს მისი წიგნები წაკითხული, როგორც ისე წაიკითხავდა, როგორც არა ეპატაჟურ ავტორს, არამედ ერთ-ერთ ავტორს, როგორც ძალიან საინერესო და ნიჭიერ ავტორს თანამედროვეობაში.

ინტერვიუერი: თამუნა მეჭურჭლიშვილი

რესპონდენტი: ერეკლე დეისაძე

ინტერვიუერი: რა დამოკიდებულება გაქვთ ზოგადად ეპატაჟის მიმართ?

რესპონდენტი: ეპატაჟი ძალიან მიმზიდველი ილეთია ჩემთვის ხელოვნებაში, რადგან ეს არის გრძელი გზის მოკლედ გავლა, რომელიც დაკავშირებულია რისკებთან, გამბედაობასთან და, პირველ რიგში, ნიჭთან. ეს სამი კომპონენტი თუ არის შეკრული მაშინ გამოდის ეს ეპატაჟი ღირებული და მაშინ არის ეს ხელოვნება.

ინტერვიუერი: თუ არის სხვაობა ქართულ თანამედროვე ეპატაჟს და უცხოურ ეპატაჟს შორის?

რესპონდენტი: ვადევნებ თვალყურს და განსხვავება არის იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეულწილად ქვეყნებს თავისი გამოწვევა აქვთ და თავიანთი სუსტი წერტილები.

შესაბამისად იქაური ეპატაჟი, იქაურ გამოცდილებაზე არის აგებული, ჩვენთან გულისხმობს მოცემულობიდან გამომდინარე. ამიტომ რაც შეიძლება აქ იყოს ეპატაჟური, საზღვარგარეთ სრულიადაც არ აღმოჩნდეს ეპატაჟური. ესე იგი ამას განაპირობებს: დრო ადგილი და სოციუმი, რომელშიც ეს ეპატაჟური აქტი ხორციელდება.

ინტერვიუერი: თქვენს ყველაზე სკანდალურ წიგნად სახელდება: „საიდუმლო სირობა", თუ იცოდით, რომ გამოიწვევდა გარკვეულ რეზონანსს, რეაქციას, როცა წერდით?

რესპონდენტი: რა თქმა უნდა. ყველაფერი წინასწარ ვიცოდი და მაგისთვისაც გავაკეთე, რომ გამომეწვია ხმაური, შეურაცხყოფილი ყოფილი საზოგადოების დიდი ნაწილი და ეს ყველაფერი მივიღე, ამ ყველაფერს მივაღწიე და კმაყოფილი ვარ, თუმც აის ტალღა წინააღმდეგობის ბევრად უფრო რთული იყო ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ კარგი იყო, რადგან ეს ყველაფერი ჩემი ნებით ხდებოდა.

ინტერვიუერი: რატომ გადაწყვიტეთ „საიდუმლო სირობის" დაწერა?

რესპონდენტი: იმიტომ რომ საქართველოში თუ გინდა რომ შენი სათქმელი მკითხველამდე მიიტანო, არავინ ყურადღებას არ მოგაქცევს თუ სილა არ გააწანი, ამიტომ დავიწყე სუსტი ადგილების ძებნა საზოგადოებაში, რაც მათ აწუხებთ, ვიპოვე და შემდეგ მანიპულირება მოვახდინე ამ თემებზე.

ინტერვიუერი: იყო თუ არა ეს წიგნი კარგი საწყისი თქვენი კარიერისთვის?

რესპონდენტი: კი, იმიტომ რომ მაგ წიგნმა შექმნა სახელი ერეკლე დეისაძე, რომელიც შემდეგ მუსიკით დაინგრა და ეხლა იდევ სხვადასხვანაირად ფორმირდება.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, კითხულობს თუ არა ხალხი მაგ წიგნს თუ უფრო მეტად, სათაურის თემაა?

რესპონდენტი: ვერ წაიკითხავს, იმიტომ რომ ეგ წიგნი არ არის და მთავარი ტრიუმფი მაგ წიგნში სწორედ ის არის, რომ წიგნი წაკითხული არ აქვთ და ისე არსებობს, რაღაცა ღმერთს გავს, სწამთ, იციან რომ არსებობს, მაგრამ ნანახი არავის არ ჰყავს.

ინტერვიუერი: როდესაც რაოდენობრივი კვლევა ჩავატარე, თქვენ გასახელებდნენ ყველაზე ეპატაჟურ მწერლად, თუმცა ხშირად ეშლებოდათ სახელი და ვთქვათ გოჩა დეისაძეთი მოგიხსენიებდნენ, ანუ ცნობილია რომ ვიღაცა არის ეპატაჟური, მაგრამ რეალურად დავადგინე არ კითხულობენ. კარგია ეს თუ ცუდი?

რესპონდენტი: ჩემთვის არგია ეს, რადგან აბსურდულობის მომხრე ვარ. აბსურდი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ჟანრია, რასაც გაურბიან და ეგ არის ჩემი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღი; როდესაც სიტუაცია აბსურდულია, იქ ვერ დაიწყებ სერიოზულად თავის მართლებას და გაბრალებენ იმას, რაც არ გაგიკეთებია, იმიტომ რომ წიგნში ესე გიწერია, იქ ეხლა სერიოზული ლაპარაკი არაა ნორმალური. ამიტომ მგონია რომ მაგ აბსურდს აბსურდივე დავუპირისპირდე და გოჩაც ვარ, ერეკლეც და ირაკლიც, კაია.

ინტერვიუერი: არ იყო თქვენთვის რთული ეს დამოკიდებულება, რომელიც მაშინ დაგატყდათ თავს?

რესპონდენტი: რთული არის მაგრამ თუ ამ სირთულისთვის მზად არ ხარ, მაშინ რატომ აკეთებ საერთოდ.

ინტერვიუერი: ღირდა? დღევანდელი გადმოსახედიდან.

რესპონდენტი: კი, ყველაფერი ღირდა რაც გავაკეთე, აბა რა. ერთი წამით არაფერს ვნანობ, იმიტომ რომ ამისთვის ვაკეთებდი რომ პროცესი ყოფილიყო და შემდეგ ამას ლოგიკური გაგრძელება ჰქონოდა და რაღაც არ დარჩენილიყო იქ, გაგრძელდა: ფესვი გაიდგა მუსიკაშიც, ამიტომ ბევრად უფრო ფასეულია, ეს მაშინ იყო საწყისი ეტაპი და ეხლა უვე ნიადაგია.

ინტერვიუერი: ეხლა უფრო კითხულობენ თქვენს წიგნებს, ვიდრე ვთქვათ „საიდუმლო სირობას“ კითხულობდნენ მაშინ?

რესპონდენტი: კი, რა თქმა უნდა. დროთა განმავლობაში რაოდენობამაც იმატა. ამას მოწმობს ის, რომ 4 დღისაა გამოსული ეს წიგნი (იგულისხმება „ოთარაანთ ქვიარი“) და ბესტსელერების ათეულშია.

ინტერვიუერი: რამ იმოქმედა? ის რომ ავტორი თქვენ ხართ, სათაურმა თუ ყველაფერმა ერთად?

რესპონდენტი: ის რომ ავტორი მე ვარ.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, რა თემები იწვევს ვნებათაღელვას საზოგადოებაში? როგორი თემები შეიძლება გახდეს ეპატაჟური?

რესპონდენტი: რაზეც საუბარი რცხვენიათ, რაზეც ვერ ილაპარაკებდნენ, ფიქრიც ერიდებათ, ესაა ჩემი თემები.

ინტერვიუერი: ფიქრობთ თუ არა, რომ რამენაირად ეს თემები შეიძება უკავშირდებოდეს რელიგიას? ან ეკლესიას?

რესპონდენტი: ეპატაჟი არ გულისხმობს მხოლოდ ეკლესიას და რელიგიას, შეიძლება სხვანაირი ეპატაჟი გააკეთო, მაგრამ ქართულ საზოგადოებაში რადგანაც ყველაზე მტკივნეული თემები ეგენია და ყველაზე მეტ მანიპულირების საშუალებასაც ეგ თემები იძლეოდა, იმიტომ აირჩიე ეგ თემები. რომ ვყოფილიყავი სხვა საზოგადოებაში, იმ ქვეყნის ყველაზე სუსტ თემას ავიღებდი. ამ მოცემულობაში ეს იყო ერთგვარი ილეთი.

ინტერვიუერი: რომ შევაჯამოთ, თქვენ ამბობთ, რომ ერთი მხრივ, ქართული საზოგადოებისთვის ეპატაჟური ხდება რელიგიური/ საეკლესიო თემები და მეორე მხრივ ისინი, რომელიც ტაბუირებულია, სწორად გავიგე?

რესპონდენტი: დიახ, უფრო დავაზუსტებდი, ისინი, რაც ადამიანის საფიქრალია. ადამიანებს ხომ სულ ერთი საფიქრალი გვაქვს ამ ქვეყანაში, საწყისი და მერე არის უვე გაყოფა, ამიტომ მაგ ძირეული ნიადაგის ძიება არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

ინტერვიუერი: გარდა თემისა, აქვს თუ არა მნიშვნელობა წერის მანერას, როგორ დაწერ?

რესპონდენტი: ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, როგორ ასრულებ ამას. შეიძლება იდეა კარგი იყოს, მაგრამ გაფუჭდეს შესრულებით, შეიძლება სათქმელი არ გქონდეს და ძალიან მაგრად წერდე.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, სოციალური თემების გადმოტანა თუ ხდება თანამედროვე ეპატაჟურ ლიტერატურაში?

რესპონდენტი: ყველა იმას წერს, რასაც ფიქრობს რომ აქტუალურია, შეიძლება არ იყოს, მაგრამ თვითონ თვლიდეს რომ აქტუალურია, ან შეიძლება მწერალმა დააყენოს ეს საკითხი დღის წესრიგში. ანუ წამოწიოს და დაიწყოს მსჯელობა. აი, ეგ ძალიან კარგ მწერლებს შეუძლიათ, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ ინიციატივას. ამ შემთხვევაში, ყველას თავის სათქმელი აქვს ხალხთან. ამ ტექსტებით მე უფრო მეტი მაქვს საერთო ხალხთან, ვიდრე კონკრეტულ ინდივიდებთან.

ინტერვიუერი: თქვენი ეპატაჟური ტექსტების ერთ-ერთი კრიტერიუმი შეიძლება ისიც იყოს, რომ რეალობა გადმოიტანა? ან კარიკატურულად ან არა, რაც ხდება იმის დაცინვა.

რესპონდენტი: ჩემ შემთხვევაში უფრო ფორმებმა იქონია გავლენა და არა შინაარსმა. იმიტომ რომ ძალიან უხეშად გადმოვეცი სათქმელი და არც არავის წაუკითხავს და გაუგია, შიგნით რეალურად რა ეწერა, იმდენად უხეში ფორმებით იყო რომ დაიკარგა მთავარი იდეა და ამ ფორმამ ჩაყლაპა იდეა. ესეც ვიცოდი რომ ასე იქნებოდა, რადგან სამაგისო არც გამოცდილება მქონდა რომ გამართული ტექსტი დამეწერა.

ინტერვიუერი: მოახდინა თუ არა თქვენმა ტექსტმა გავლენა საზოგადოებაზე?

რესპონდენტი: მოახდინა და რაც მთავარია, პროცესები გამოიწვია სოციალურ-კულტურულ-პოლიტიკური. გვახსოვს ორგანიზაციები, რომლებიც ამ წიგნს წამდნენ. მერე გააკეთეს აქციები, ქუჩები გადაკეტეს, ანუ ეს კულტურული ჭრილიდან გადავიდა პოლიტიკურ ჭრილში, ამაზე დიდი ლიტერატურამ რა უნდა გააკეთოს. ჩემთვის რეაქციული ლიტერატურა არის ის მთავარი ლიტერატურა, რაც გვჭირდება.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ქართული საზოგადოება სხვა საზოგადოებებთან შედარებით, არის თუ არა მკითხველი საზოგადოება? მაგალითად, კითხულობენ თქვენს წიგნებს?

რესპონდენტი: არაა, საქართველოში წიგნებს ავეჯის ფერით ყიდულობდნენ, როცა წიგნს დეკორის ფუნქცია ქონდა და გვახსოვს დიდი ბიბლიოთეკები, მაგრამ არავის არ ჰქონდა წაკითხული.

ინტერვიუერი: თუ არ კითხულობენ თქვენს წიგნებს, როგორ მოახდინა მაშინ გავლენა საზოგადოებაზე?

რესპონდენტი: სათაურით და იმ თემებით, რა თემებსაც ვეხებოდი.

ინტერვიუერი: თუმცა თუ არ კითხულობდნენ, საიდან იცოდნენ თემები?

რესპონდენტი: ფრაზები იცოდნენ, აი იქ ის დაწერა აქ ის დაწერა.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია თუ არა ეპატაჟური ლიტერატურის არსებობა და კვლავწარმოება, ქართული საზოგადოების განვითარებისთვის?

რესპონდენტი: აუცილებელია, იმიტომ რომ როდესაც ნებისმიერ სივრცეში რაღაც დაკანონებული ნორმები არსებობს, აუცილებელია ვენტილაცია, თორემ ის დამყაყდება და უჰაერობა სადაცაა, რაც არ უნდა კარგი იყოს მაინც გვხუთავს. ისეთ აკადემიურ სივრცეში, როგორიც ქართული საზოგადოებაა, ეს ნაღმები ქმნიან პრეცენდენტებს და ესენი კი ცვლილებას იწვევენ.

ინტერვიუერი: აი, დღეს რომ დაგეწერათ „საიდუმლო სირობა“ რეაქცია იგივე იქნებოდა?

რესპონდენტი: ბევრად უკეთ დავწერდი და თან დღეს რომ ვიღაცამ იგივე წიგნი დაწეროს, რეაქცია აღარავის ექნება, რადგან გადალახა საზოგადოებამ, ბატონები მოიხადა, რომელი მტკივნეული იყო, მაგრამ უნდა მოეხადა.

ინტერვიუერი: ჩაანაცვლა თუ არა ის თემა, ახალმა თემებმა?

რესპონდენტი: აი, იმიტომ რომ, როდესაც რაღაც მსჯელობა მიდის ყოველთვის ახალი თემები და პრობლემები ჩნდება და ლიტერატურა სწორედ პრობლემების კვლევას ემსახურება და დღის წესრიგში დააყენოს ის თემები, რომლებიც ვიღაცებს ყურადღების მიღმა რჩება.

ინტერვიუერი: რა თემებია დღეს ეგეთი?

რესპონდენტი: უამრავი, განსხვავებულობის შიშამდე მივდივართ. განსხვავებული ავტომატურად აღიქმება მტრად. უცხო და უცხოს შიში, არის მტერი, ესე ფიქრობენ ამ დროს ეგრე არ არის და სწორედ ეს იწვევს იმ ყველაფერს, რასაც ჰომოფობიას და რასიზმს და სხვა ყველაფერს ვუწოდებთ და ვავლენთ. რომ ის ვინც შენნაირი არ არის შენი მტერი.

ინტერვიუერი: პირველი ვინ მოგდით თავში ვინც ესე დაამახსოვრა საზოგადოებას თავი თავისი ეპატაჟურობით?

რესპონდენტი: ყველაზე ეპატაჟური შოთა რუსთაველი იყო, რომელიც მაშინ მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის. ჩემ შემთხვევაში ყველაზე საყვარელი პერსონა არის მაინც ჯორდანო ბრუნო, რომელიც ერთი იყო და მართალი იყო და ყველა მტყუანი იყო მის ირგვლივ. მაგრამ თქვა რომ ბრუნავს ად ამის გამო დაწვეს, ანუ თავის იდეას შეეწირა, რომელიც მართალი იყო. ქრისტეს 12 მოწაფე ყავდა მინიმუმ ვისაც სწამდა მისი და ის ერთი იყო და ამბობდა რომ ბრუნავს.

ინტერვიუერი: თუმცა მე ქართველები გკითხეთ, თანაც თანამედროვეები...

ინტერვიუერები: ჩემი აზრით, ცალკეული წიგნებით შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ ეს უფრო ერთჯერადი გამოვლინება იყო და ჩემ შემთხვევაში არის დაგეგმილი, სერიული პოეზია.

ინტერვიუერი: სხვა მწერლები, ვისაც ველაპარაკე, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ეპატაჟურად სახელდებიან, არ აღწერენ თავიანთ თავებს ეპატაჟურად, ამბობენ რომ არ ჰქონდათ დაგეგმილი...

რესპონდენტი: იპრანჭებიან, ჩემი აზრით. მე ვამბობ, რომ მე მქონდა დაგეგმილი და ის მივიღე რაც მინდოდა.

ინტერვიუერი: თუ გააჩნია ეპატაჟურ ავტორად ყოფნას რაიმე კრიტერიუმები, თქვენ ჯდებით ამ საზომებში?

რესპონდენტი: კი, იმიტომ რომ მეტნაკლებად კარგი ყველგან არსებობს. რაღაცასთან შედარებით თუ ვიმსჯელებთ, კი.

ინტერვიუერი: რადგან შოთა რუსთაველი ახსენეთ, ამიტომ გკითხავთ, შეიძლება ეპატაჟური თანამედროვე მწერალი დროსთან განმავლობაში კლასიკოსად იქცეს?

რესპონდენტი: რა თქმა უნდა, კულტურაში შეიძლება გაიაროს ლეგიტიმაცია და გახდეს კლასიკოსი.

ინტერვიუერი: ანუ კარგავს ეპატაჟს დროთა განმავლობაში?

რესპონდენტი: ხო, რადგან აღარ აღიქმება ეპატაჟად. ეპატაჟს სჭირდება ფორმირება.

ინტერვიუერი: თამუნა მეჭურჭლიშვილი

რესპონდენტი: ლაშა ბუღაძე

ინტერვიუერი: ზოგადად ეპატაჟზე რას ფიქრობთ?

რესპონდენტი: კონკრეტული კულტურის შემადგენელი ნაწილია ეპატაჟი. განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი მოიცვა მთლიანად სახელოვნებო აქტივიზმმა, რაღაც თვალსაზრისით დაკავშირებული იყო კონფლიქტთან, გარკვეულ ნორმებთან, ამ სიტყვის ქვეშ ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ გარკვეული მიმართულება. მაგრამ ეპატაჟი მხოლოდ კულტურასთან მიმართებით არ იხმარება ეს სიტყვა. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკასთან ან სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებული.

ინტერვიუერი: დადებითი მოვლენაა, თქვენი აზრით?

რესპონდენტი: იცით რა რაის, მე ვფიქრობ რომ დადებითი - უარყოფითი ძალიან ზოგადია შეფასების თვალსაზრისით. ძალიან ბევრი ლიტერატურული ტექსტის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომელიც იყო და არის პროვოკაციული, არის და იყო ეპატაჟური და ეს დიდი ლიტერატურაა. მე ვფიქრობ რომ საერთოდ ყველა დიდი ტექსტი, დაწყებული ძველი ბერძნებიდან შეიცავდა თავის თავში ეპატაჟს, გამოწვევას, პროვოკაციას. ევრიპიდე: „მედეა“ პროვოკაციული ტექსტია, სოფოკლე: „ოიდიპოს მეფე“, ამაზე დიდი ეპატაჟური რა გნებავთ, მამა მოკლა და დედა შეირთო ცოლად. რაც არ უნდა ვთქვათ ჩვენ, ერთია ალეგორიული ინტერპრეტაცია, მაგრამ რასაც უყურებთ სცენაზე ეს არის. მე არ მახსენდება არც ერთი დიდი ტექსტი, რომელმაც მოახდინა საზოგადოებაზე გავლენა და არ შეიცავდეს საკუთარ თავში გამოწვევას. ამიტომ ჩვენ უნდა გვახსოვდეს არა მოდელი, არა ტერმინი „ეპატაჟი“, არამედ ის ტექსტი, რომელიც რაღაც დროს იყო ეპატაჟურად აღქმული.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, ქართულ ლიტერატურაში განსხვავდება თუ არა უცხოურ თანამედროვე ეპატაჟური ავტორებისგან.

რესპონდენტი: გააჩნია რას ვგულისხმობთ ეპატაჟურში.

ინტერვიუერი: ტექსტი, რომელიც საზოგადოებაში იწვევს ვნებათაღელვას.

რესპონდენტი: საზოგადოებაში მე არა მგონია, რომ ტექსტი იწვევდეს დიდ შოკურ შთაბეჭდილებებს. ტექსტი იმიტომ, რომ ის ვინც შოკში ვარდება, როგორც წესი, ტექსტს არ კითხულობს. ის ვინც ყვირის, ან ის ვინც ბრაზობს, ან იმას ვისაც ეშინია ტექსტის, ის როგორც წესი მკითხველი არ არის.

ინტერვიუერი: აქვე გკითხავთ, როდესაც გასახელებდნენ ეპატაჟურად, ამბობდნენ თამარ მეფეს, ესე იგი სათაურიც შეცდომით იყო.

რესპონდენტი: ზუსტად აღნიშნეთ, სწორად აღნიშნეთ, ეს იგი არ წაუკითხავთ. ეს არის ფენომენი, რომელიც საბჭოთა კავშირში დაიბადა, არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ.

ინტერვიუერი: მაშინ როგორ გგონიათ, რამ გამოიწვია ასეთი ამბავი?

რესპონდენტი: ნუ არ ვიცი ახლა, ძირითად შემთხვევაში ეს არის უფრო მანიპულირებული ეს პოზიცია, კონკრეტული პოლიტიკოსების ან მედიის მიერ. ჩემი მოთხრობა არის იური ბოგოლიუბსკიზე და არა თამარ მეფეზე, ეს არის რა პარლამენტში გამოხტა ხალხი, რომელმაც იძახა რომ რელიგიას შეურაცხყოფა მიაყენეს, იმიტომ რომ მათ უნდოდათ ქულების დაწერა, მათ უნდოდათ იმ კუთხით საკუთარი თავის პოზიციონირებას, რომ აი ისინი იცავენ ტრადიციას, ისინი არიან სარწმუნოების დამცველები და მათ თემა სჭირდებოდათ. იმიტომ რომ არა მგონია ისინი ესეთი ბრიყვები იყვნენ ის დეპუტატები საკმაოდ განათლებული და გათვითცნობიერებული ხალხი იყო ზოგიერთი ამ ტექნოლოგიებში რომ ვერ მიმხვდარიყვნენ ეხლა რაზე დავწერე მე ტექსტი თუ წაიკითხავდნენ და მათ წაიკითხეს. ეს იყო მანიპულირებული დღესაც როგორც ხდება. მაგალითად რამდენიმე ხნის წინ ორმა დეპუტატმა გადაწყვიტა რომ შეიტანოს საკანონმდებლო ინიციატივა გრძნობების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე, ომების წაქეზებაზე და ა.შ. რა საკვირველია ესენი ხვდებიან რომ აქ ცენზურის სუნი უდის ამ ყველაფერს. მათ აღელვებთ გრძნობების შეურაცხყოფა მართლა? მათ აღელვებთ აქტუალობის დისკურსი საკუთარი თავისთვის აქაც ქულების ჩაწერა, აქაც უნდათ რომ ცხვირი შეყონ ისეთ სფეროში, სადაც ილაპარაკებენ და რეზონანსს გამოიწვევენ. ანუ მე ვფიქრობ, რომ ყოველთვის, როდესაც სკანდალი მოჰყვება რაიმე ტექსტს არამხოლოდ ჩემ ან ცემი კოლეგის შემთხვევაში, ეს სკანდალი არის ყოველთვის უფრო პოლიტიკური ხასიათის, ვიდრე ლიტერატურული. რეზონანსი არის ყოველთვის პოლიტიკური. ნებისმიერ შემთხვევაში ასე იყო ოდითგანვე, ჩემზე კია რ ვლაპარაკობ.

ინტერვიუერი: ფიქრობდით თუ არა, როდესაც წერდით ამ მოთხრობას, რომ შეიძლება ესეთი რეზონანსი მოჰყოლოდა?

რესპონდენტი: არა, არა, იმიტომ რომ მე არ ვწერდი სკანდალურ ტექსტს. მე შემიძლია თამამად ვთქვა რომ ეს ტექსტი „ პირველი რუსი „ არის ერთადერთი კლასიკურად პატრიოტული

მოთხრობა, რომელიც მე დამიწერია. რაზეა, ეს არი რუსეთთან საქართველოს ურთიერთობაზე ალეგორიულ, სატირული ფორმით გადმოცემული. მუდმივი სიყვარული - სიძულვილი, მოლოდინი - შეურაცხყოფა, იმედგაცრუება - დამოკიდებულება , გაქცევის სურვილი - შეუძლებლობა ამ გაქცევიდან. ყველაფერი რაც რუსეთ - საქართველოს ურთიერთობას ახასიათებს, გამოჩნდა ჩემთვის იური ბოგოლიუბსკისა და თამარ მეფის ურთიერთობაში, რომელიც დაემყნო ეს ჩემი სატირა ბასილი იოზოს ტექსტს „ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა“ სადაც ბასილი იოზოსი, მოძღვარი, საკმაოდ თამამად, საკმაოდ ღიად წერს იორი ბოგოლიუბსკის პრობლემებზე.

ინტერვიუერი: ფიქრობთ თუ არა, რომ ეს წიგნი, ეს მოთხრობა გახდა საბაბი, რომ უფრო კითხვადი, უფრო მოთხოვანდი გამხდარიყავით?

რესპონდენტი: პოპულარული კი, კითხვადი - არა. ვინც კითხულობდა და ის კი კითხულობს და უფრო მეტი მკითხველი გაუჩნდა თანამედროვე ქართულ თანამედროვე ლიტერატურას და მეც მათ შორის, მაგრამ მე მეგონი ვინც არ კითხულობდა 2000იანებში ის დრესაც არ კითხულობს.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, რა თემები შეიძლება გახდეს ეპატაჟური ქართულ თანამედროვე საზოგადოებაში? და შეიცვალა თუ არა იმის მერე რამე, როდესაც თქვენ დაწერეთ „პირველი რუსი“?

რესპონდენტი: არა, ბევრი არაფერი არ შეცვლილა. იმიტომ რომ რაღაც კატეგორიის საზოგადოების ნაწილს, რომელსაც უნდა დაიჯეროს რომ რაღაცა პრობლემაა ქართული ლიტერატურის, ყოველთვის პრობლემად მოეჩვენება, ფოტოც კი. ჩემი ან რომელიმე ჩემი კოლეგის, რომელიც საიტზე დევს, მათ მიაჩნიათ რომ უვე რაიმე გამოწვევაა. მე ხშირად ვწერ ბლოგებს რადიო თავისუფლებაზე. მე მინახავს ბევრი ადმიანი, ოღონდ ზოგი არის ეგრეთწოდებული ტროლი, იმიტომ რომ ეს მიბმულია კონკრეტულ პოლიტიკურ პოზიციებთან ჩემი თუ ჩემი კოლეგების. ხშირ შემთხვევაში სათაურსაც არ კითხულობენ ბლოგების, უვე არის აგერსია, იმიტომ რომ ითვლება რომ ეს კონკრეტული ადამინები კონკრეტულ პოზიციას გამოხატავენ, ეს შეიძლება იყოს ლიბერალური, ოღონდ ლიბერალიზმი აქ ესმით ძალიათ უცნაურად, უმეტესად ვინც ამ ლიბერალიზმს ლანძღავს არც იცის რა იგულისხმება, როგორი მრავალფეროვანია ეს სიტყვა და ა.შ. ნუ ესეც წაქეზებულია ეს აზრები. პირველყოვლისა, ინტელექტუალურ, განათლებულ, როგორც მკითხველს პრეტენზიულს ეს შიშები არ აქვს, ამიტომ ეხლა ჩვენ პარადოქსულ რეალობასთან გვქონდეს საქმე. რაღაც კატეგორიის ადამიანებს სიმართლე ეჩვენებათ ეპატაჟურად. როდესაც ამბობ სიმართლეს, ის ეჩვენებათ ეპატაჟურად.

ინტერვიუერი: მაგალითად, სოციალურ-პოლიტიკური თემების გადმოტანა თუ ხდება ლიტერატურაში?

რესპონდენტი: არა, მე ვგულისხმობ უბრალო თქმასაც. მაგალითად თუ ვიტყვით, რომ საპატრიარქოში კორუფციაა. ვიღაცა აღიქვამს ამას ეპატაჟურად. ვიღაცა აკურთხებს ჯიპს, ეპატაჟი არ არის ეს ერთი მხრივ, ეს არის რეალობის აღწერა. მეორე მხრივ, თუკი ადმიანმა თქვა, რომ იცით რაც ხდება არის ძალიან გაუმჭვირვალე, იყენებს საპატრიარქოს ნაწილი თავის

გავლენას, იმისათვის რომ მეტი ძალაუფლება მოიხვეჭონ, მეტი ფული დააგროვონ და შესაბამისად გაავრცელონ ანტისაზოგადოებრივი და შესაბამისად ანტისახელმწიფოებრივი იმპულსები და ეს არ ეხება არანაირად რელიგიას. ვიღაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ ა, ეს არის ეპატაჟური ადამიანი, ჟურნალისტი ან მწერალი ვინც დაიწყო ამაზე ლაპარაკი მიიჩნიოს ეს ეპატაჟად. შესაბამისად, სიმართლის მიუღებლობა. ეს ეხება ყველაფერს.

ინტერვიუერი: სხვა მწერლები რომ გავიხსენოთ, რომლებიც ასევე საკმაოდ ეპატაჟურები არიან, დეისაძის წიგნზეც იგივე დამოკიდებულება გამოვლინდა, აი სათაურმა გამოწვია ეპატაჟი და შიგნით რა წერია, არავინ იცის. შეიძლება რომ სათაური თუ არის ცოტა გამომწვევი, მთლიანად წიგნი შეიძლება გახდეს ეპატაჟური?

რესპონდენტი: რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად. უმეტესად არაა ხოლმე ეს წიგნი წაკითხული. რადგან ბევრ დიდ ლიტერატურულ ტექსტზე გამოხატულა აღშფოთება. მაგალითად სალმან რუშდის სატანური ლექსები, ცნობილი რომანი, რომელიც 1989 წელს ამ რომანის გამო ფატვა გამოუცხადეს. თქვენ გგონიათ, რომ იმ ადამიანებს წაკითხული ჰქონდათ ეს ურთულესი რომანი? ჯოისის და მაგიური რეალიზმის გამოცდილება რომ შევაერთო ისეთია, ურთულესი წასაკითხია, ის კი არა, გამობრძმედილ და გამოცდილ მკითხველებს უჭირთ, მაგრამ სათაურია სატანური ლექსები და თქვა სასულიერო პირმა, რომ აქ არის შეურაცხყოფა წინასწარმეტყველისა, მორჩა. რა არი, როგორ არის, მწერალი როგორ ამბობს ეს აღარავის აინტერესებს. ეხლა მე ყველაზე მძიმე მაგალითი მოვიყვანე. ამიტომ ეხლა სათაური მოქმედებს.

ინტერვიუერი: თქვენმა მოთხრობამ მოახდინა საზოგადოებაზე?

რესპონდენტი: საზოგადოებაზე არ ვიცი, მაგრამ ჩემზე დღესაც განაგრძობს, ვრცელდება ეს გავლენა ჩემზე, ჩემი შეფასების კუთხით ან ჩემდამი დამოკიდებულების კუთხით ან საერთოდ ფენომენის კუთხით. რა ხდება როდესაც ადამიანი იდენტობის ელემენტებს ეხება, რომელიც დამოკიდებულია წარსულთან, ისტორიასთან და რატომ არის ასეთი ტრამვული დამოკიდებულება ამ ნიშან-სიმბოლოებთან, როგორიც არის მაგალითად თამარ მეფე ან სხვა. ანუ ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის ძალიან საინტერესო და ალბათ რაღაც კუთხით ეს როგორც ტრამვა, ახდენს გავლენას, რომელიც შეგვიძლია ჩავთვალოთ გარკვეულ გამოცდილებათაც. შესაძლოა რომ ეს პრობლემა უნდა გამოჩნდეს, რომ ეს პრობლემა გადაილახოს, პრობლემა თუ არ ჩანს, არ ჩანს გზები მისი გადალახვის. ამიტომ, როგორც გამოცდილება, შესაძლოა გარკვეულ გავლენას ახდენდეს დღესაც.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, როგორი ტიპის ლიტერატურა ახდენს გავლენას თანამედროვე ქართულ საზოგადოებაზე?

რესპონდენტი: კარგი ლიტერატურა ახდენს გავლენას. იმიტომ რომ მიტხველი არის საქართველოში, იმიტომ რომ ეს აისახება სტატისტიკაზე, გაყიდვაზე, ფესტივალებზე, თარგმანებზე, ეს აისახება ქართველი ავტორების როგორც კლასიკოსების, ასევე თანამედროვეების თარგმნაზე და გამოცემაზე დასავლეთში, განსაკუთრებით გერმანიაში, ვინაიდან დიდი ბაზრობაა ფრანკფურტში, ეს ჩანს; და მკითხველი, რომელსაც აქვს შეხება ტექსტთან, მთავარი მისი მსაჯული გემოვნებაა, ამიტომ ეხლა სელექცია ხდება გემოვნების თუ

სამკითხველო ინტელექტის შესაბამისად. და მე მგონი რომ კარგი ლიტერატურა ყოველთვის მიაღწევს მკითხველამდე. ანუ ეპატაჟურების გამო, ტექსტი არ იქცევა საყვარელ ტექსტად კარგი მკითხველისათვის. ის რომ მხოლოდ ეპატაჟურია ტექსტი, ეს არაფერს არ ნიშნავს. შეიძლება ვიღაცისთვის საგაზეთო სტატიის დასაწერად და სიუჟეტის გასაკეთებლად საინტერესო იყოს, მაგრამ აი მკითხველისთვის, მხოლოდ იმიტომ რომ ეს ტექსტი არის ეპატაჟური, მგრძნობიარე თემებით დანაღმული, ეს არ არის გარანტია რომ მოხვდება მკითხველის წიგნის თაროზე.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, უცხოელი მწერლები, რომლის წიგნებსაც ვთარგმნით დღეს მაგალითად სარამაგუ, არ ხდება საქართველოში ისეთი ეპატაჟური, როგორც იგივე თქვენ გახდით „პირველი რუსის“ გამო?

რესპონდენტი: იმიტომ რომ შინაურ მღვდელს არ აქვს შენდობა. ჯერ ერთი სარამაგუს ჰქონდა დიდი პრობლემები...

ინტერვიუერი: პორტუგალიაში კი, საქართველოში არა...

რესპონდენტი: არა, იმიტომ რომ სარამაგუ მაინც თავისი საზოგადოების კრიტიკითაა დაკავებული, გამოცდილებით, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს. ქართველს უფრო ნაკლებად მიიღებენ და უფრო ჩართულია ქართველი ავტორი. ეხლა სარამაგუს არ ხედავენ ტელევიზორში და სარამაგუ არ ლაპარაკობს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საეკლესიო ადმინისტრაციულ საკითხებზე. იქ სადაც ლაპარაკობდა, იქ კარგი ლანძღვა გინებაც ხვდებოდა. ან ორჰან ფამუქს თურქეთში, რომელიც ისეთ თემებზე ლაპარაკობდა, რომელიც არ მოსწონდა თურქებს. ფამუქი აქ რომ დასვა და ალაპარაკო ისეთ თემებზე, მასზეც გაღიზიანდებიან, როგორც კი ის შეეხო ქართულ თემას „თოვლში“, იმ წუთშივე გარვეული ნაწილის რეაქცია მოჰყვა. ჩართულობაა მნიშვნელოვანი.

ინტერვიუერი: თქვენ ამბობთ, რომ მწერლის პერსონაზეც არის დამოკიდებული და არა მხოლოდ მის წიგნებზე?

რესპონდენტი: აბსოლუტურად, ნუ ეს ვრცელი თემაა რატომ ვერ იგებენ რომ მწერალი პირიქით არგია რომ ჩართულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს საბჭოთა ტრადიციაა, რომ კარგი მწერალი არ აქტიურობდა, ის ვინც აქტიურობდა იყო ან იდეოლოგიის გამტარებელი საბჭოთა ან იყო პროპაგანდისტი ან იყო რაღაცა ფსევდო ტრიბუნი. ამიტომ კარგი, წესიერი მწერალი, როგორც წესი, სოციალურად არ აქტიურობდა. იმიტომ რომ სამარცხვინო იყო სოციალური აქტიურობა. ამიტომ რაღაცნაირად საზოგადოების მენტალიტეტში ეს ნორმად დარჩა, რომ მწერალი არ უნდა იღებდეს ხმას, მაგრამ სინამდვილეში არ უნდა იღებდეს იმიტომ რომ, საბჭოთა დროს არ იღებდა მიზეზთა და გამო, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ იგივე დროა. და მწერალი რატომაა საინტერესო? ან ნებისმიერი სხვა პროფესიის ადმიანი, რომელიც ცდილობს, რომ ცოტა უფრო ღრმად იკვლიოს თემები, ვთქვათ ჟურნალისტიკას არ აქვს ეს მიზანი, მწერალი უფრო სხვა თემაა, რადგან ცოტა უფრო ღრმად ხედავს ყოველგვარი ლიტერატოროცენტრიზმის გარეშე ვამბობ ამას. ამიტომ ეს მიუღებლობაა სიმართლის მიმართ.

ინტერვიუერი: თამუნა მეჭურჭლიშვილი

რესპონდენტი: პაატა შამუგია

ინტერვიუერი: მაინტერესებს თქვენი აზრი, ზოგადად ეპატაჟის მიმართ.

რესპონდენტი: ეპატაჟი არსებობს ორგვარი: ერთი რომ ის ეხმარება საზოგადოებას რომ მზადმყოფი და ფხიზელი იყოს, რომ გაუმკლავდეს პრობლემებს, აორგანიზებს საზოგადოებას შემდეგომი კრიზისის გადალახვისთვის- ეს არის ერთი და მეორე არის ეპატაჟის დროს საზოგადოების რაღაც ნაწილი ვარდება შოკში და ამ დროს იოლია გარკვეული კულტურული კოდების ინექცია, იმ კოდების რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება აირიდოს საზოგადოებამ ამიტომაც ორივე შემტხვევაში გამართლებულია, მე მგონია რომ მეორე უფროო არის და ამდ როს უფმარტივია ახალი იდეების ჩასმა, იმპლანტაცია.

ინტერვიუერი: როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქართული, თანამედრო ეპატაჟური ლიტერაურის მიამრთ?

რესპონდენტი: სრულიად კეთილგანწყობილი, იმიტომ რომ მეც მოვიაზრები ამ ყველაფრის შიგნით. მე არ მომწონს ეპატაჟი ეპატაჟისთვის, მაგრამ ეპატაჟი რომელიც გარკვეულ იდეას ემსახურება, თუნდაც მწერლის თვითგანვითარებას, ესეც იდეაა, ეს უკვე მომწონს. ჩემთვის, სიმართლე რომ ვთქვათ, არასდროს არ ყოფილა ეპატაჟი თვითმიზანი. მე მგონია რომ როგორც კვლევის მიზანი ისე მაინტერესებდა. მე ლიტერატურის სპეციალისტი ვარ და დღემდე მაინტერესებს ის, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოგადგეს კვლევისას. კვლევაში არ ვგულისხმობ მხოლოდ სამეცნიერო კვლევას.

ინტერვიუერი: როცა წერდით არ გქონდათ მოლოდინი, რომ წიგნი გამოიწვევდა აჟიოტაჟს?

რესპონდენტი: პირველი ყველაზე სკანდალური რაც დავწერე იყო „ანტიტყაოსანი“, მაშინ ვიყავი მაგისტრატურის სტუდენტი და მინდოდა უბრალოდ გამებრაზებინა ჩემი ლექტორები, სულ ეს იყო იდეა. უბრალოდ მეორე დღეს როცა გავიღვიძე მივხვდი, რომ ცოტა მეტი ხალხი გავაბრაზე, ვიდრე ჩემი ლექტორების ვიწრო წრე იქნებოდა. ამიტომაც, როცა წერას ამთავრებ უკვე იცი რაც დაწერე, დადაახლოებით ხვდები რაც შეიძლება გამოიწვიოს, მწერალმა უნდა იცოდეს მკითხველების ფსიქოლოგია; ამიტომ მე ვიცი, ქართველი მკითხველი რას როგორ იღებს და როცა დავწერე „ანტიტყაოსანი“, გარკვეული პერიოდის მერე ბუნებრივი იყო რომ ეს გამოიწვევდა რაღაცას, უბრალოდ მე მასშტაბები ვერ გავთვალე.

ინტერვიუერი: სხვა წიგნები? მერე გააგრძელეთ ეს ხაზი.

რესპონდენტი: ჩემი აზრით, ჩემი წიგნებიდან ყველაზე სკანდალური არის არა „ანტიტყაოსანი“ (რომელიც საერთოდ რატოა სკანდალური საერთოდ ვერ ვხვდები), არის „დაუჯდომელი“, კი ბატონო, რომელიც ჯერ ერთი ფორმატი ავიღე დაუჯდომელის და სეკულარულ სივრცეში გადმოვნერგე, მაგრამ განსაკუთრებული სკანდალი უბრალოდ ინერციით მოჰყვება, რომ ცარიელი ფურცელიც რომ დავწერო, ვიცი რომ რაღაცა სკანდალი მოჰყვება კონსერვატორული გაზეთები აიტაცებენ და ჩემს გამათრახებას მოითხოვენ.

ინტერვიუერი: თქვენს მთავარ წიგნად სულ ასახელებენ „ანტიტყაოსანს“ რატომ?

რესპონდენტი: ჩემი ყველაზე სუსტი წიგნი, ეს არის „ანტიტყაოსანი“ „სალაღობოდ, სამღელრად“ ახალგაზრდობაში დაწერილი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს რამდენიმე: 1) სხვა დრო იყო და სხვა რამეებზე რეაგირებდა ხალხი. 2) შეეხო ისეთ რამეს, რაც ბიბლიაზე უფრო მნიშვნელოვანია, „ვეფხისტყაოსანს“ ვგულისხმობ და 3) ადამიანებს არც „ვეფხისტყაოსანი“ აინტერესებთ, არც „ანტიტყაოსანი“, აინტერესებთ კონკრეტული ზედაპირი, სათაური. ძალიან მნიშვნელოვანია სათაური, ჩემი აზრით, ნახევარი წიგნია. რახან „ანტიტყაოსანი“ ერქვა, ყველამ ჩათვალა ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ დესტრუქცია, სინამდვილეში დიდი სიამოვნებით დავწერდი ამას, მაგრამ სხვა მასშტაბი ჭირდება.

ინტერვიუერი: დაუჯდომელზეც ხომ იგივე გააკეთეთ, ვგულისხმობ სათაურს?

რესპონდენტი: დაუჯდომელი არის გაცილებით უფრო მაღალღირებული ტექსტი ჩემს სხვა ტექსტებთან შედარებით. მაგრამ მანდ ბევრი რამ იყო, ჯერ ერთი მე ეკლესიიდან მოვდივარ, საეკლესიო ცხოვრება მინდოდა რაღაც პერიოდი, ამის გამო სკოლაც მივატოვე, ნუ ეკლესიაშივე გავხდი ათეისტი და ბოლოს ნუ გამომაგდეს. ამიტომ მე კარგად ვიცი რელიგია, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანული თეოლოგია. ყველა ტექსტს კანონიკურს ვერც კი წაიკითხავ, მაგრამ არსი ვიცი, ამიტომაც მგონია, რომ „დაუჯდომელი“ უკეთესი გამოვიდა, ვიდრე „ანტიტყაოსანი“. თან გავიზარდე.

ინტერვიუერი: სათაურები თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია? გარდა ზემოთქმული ნაწარმოებებისა, გაქვთ „შიზოგადოებაც“ და ა.შ.

რესპონდენტი: სათაურები, როგორც გითხარით, არის ნახევარი წიგნი და საერთოდ სათაური თუა „გოიმური“, მე მას არ წავიკითხავ.

ინტერვიუერი: შეიძლება რომ წიგნი არ იყოს საერთოდ ეპატაჟური და სათაურმა გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა?

რესპონდენტი: კი, აი „ანტიტყაოსანი“ საერთოდ არ იყო ეპატაჟური და სათაურმა მოახდინა ეფექტი. მე დღემდე ვკითხულობ ხოლმე და სულ მაინტერესებს რა შეიძლება იყოს ეპატაჟური სათაურის გარდა. სათაური არის კი ბატონო, ამ სათაურმა გამოიწვია ყველა და ყველაფერი.

ინტერვიუერი: უცხოურ თანამედროვე ეპატაჟურ ავტორებზე რომ გადავიდეთ, ხედავთ თუ არა მათსა და ქართველებს შორის სხვაობას? ხალხის მხრიდან დანახული კუთხით გეკითხებით.

რესპონდენტი: კი, როგორ არა. როგორაა იცით? ყველა ქვეყანაში აქვს თავისი ტაბუდადებული თემები და ყავს სპეციფიკური ეპატაჟური ავტორები. მაგალითად ევროპაში ეხლა „ანტიტყაოსნის“ მსგავსი თემატიკა ვერ გახდება სკანდალის მიზეზი, არსებობს შექსპირის, მანის, გოეთეს პაროდიები და პაროდიული ლიტერატურა არის პატივის მიგება დედნისადმი. ამიტომ ეს შეუძლებელია, იდეაში, კარგი კულტურული ერისთვის იქცეს ეპატაჟად. როგორც ჩანს ეს დაგვაკლდა. მეორე არის მაგალითად რუსეთში ეპატაჟური არის ყველა ის ავტორი, რომელიც არის ანტი პუტინისტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში კარგი ავტორი არ არის, რომელიც არ არის ანტი პუტინისტი, ანუ ყველა არის ანტი პუტინისტი, იმიტომ რომ პუტინი არის რეჟიმი, ხელისუფალია და ბუნებრივია პოეტი, რომელთა ნუ 90 პროცენტი არის

მემარცხენე, ამ მემარცხენეების 80 პროცენტი არის რადიკალი მარქსისტი მემარცხენე. რუსეთს ამის დიდი კულტურა აქვს ამ მემარცხენეობის. ამიტომაც დღეს მაგალითად არის კრიმ მედვედევი რუსეთში, რომელიც ძალიან რადიკალურია, როცა მისი ლექსი წავიკითხე, ერთ-ერთმა გაზეთმა ასავალ-დასავალმა გააკეთა კოლაჟი, ვიდეო სადაც ეს გაასაღეს როგორც ჩემი ლექსი, და ნახევარი საქართველო მწყევლიდა ეს რა დაწერა შამუგიამო. ამიტომაც სხვადასხვანაირია ეპატაჟი. მაგალითად ამერიკაში ეპატაჟი გამოიწვია ჯეფერსონ ბეტკემ, რომელიც მე ვთარგმნე. სრულიად კონფორმისტული ტექსტია, სხვათა შორის, უმრავლესობას რომ გულს მოფხანს, ქვია „ რატომ მძულს რელიგია და რატომ მიყვარს ქრისტე“, ცოტა შემრცხვა რომ ვთარგმნიდი ისეთი ლექსია, ერთ კვირაში 7 მილიონამდე ნახვა ჰქონდა და იმ დროისთვის ეს 2010 წელს იყო, ლედი გაგას მოუგო რეიტინგში, ესეთი რამე რო ხდება გინდა რომ შენს ქვეყანასაც გააცნო. დააგროვა თუ არა ეს რაოდენობა ერთ კვირაში ვთარგმნე მეც. მოკლედ ანუ სხვადასხვანაირი ეპატაჟი არსებობს, დამოკიდებულია საზოგადოებაზე. როდესაც მოხდა არაბული გაზაფხული, ერთი პოეტი იყო აჯამი, რომელიც მოკლეს იმის გამო, რომ დაწერა ლექსი, რომელიც არ აწყობდათ მართველ ელიტებს. საქართველოში ეს არ მომხდარა საბჭოთა დროის მერე. ნუ მე რომ დავწერო ლექსი და დამიწერია მიშას დროსაც და შევარდნაძის დროს ნუ პატარა ვიყავი,. მიშას დროს მივუძღვენი, ამათ დროს რამდენიმე დავწერე, თუმცა არავინ მოსულა და იარაღი არ დაუდია. თუმცა იყო რამდენიმე წინაღობა სხვა ვიღაცების მხრიდან, მაგალითად ეკლესიის მხრიდან. რადგან ეკლესიას მიაჩნია, რომ ლიტერატურაც მისი სფეროა, სულიერების სფეროა. კარგია რომ ეგრე მიაჩნია, რეალურად ხომ არცერთი სფერო არ არის სულიერება, ხელისუფალი სულიერადაც უნდა იყოს მომზადებული რაღაცებისთვის.

ინტერვიუერი: იყო თუ არა თქვენი პირველი ეპატაჟური წიგნი კარგი საწყისი თქვენი კარიერული განვითარებისთვის?

რესპონდენტი: კი, კი იყო კარგი დასაწყისი. იმიტომ რომ მქონდა იქამდე რაღაცები გამოცემული, უბრალოდ კაციშვილი არ კითხულობდა, ხოდა ეს „ანტიტყაოსანი“ ხო გამეყიდა ყველა რაც იყო, მერე მე თვითონ ვეძებდი, იმიტომ რომ სახლში რაც მქონდა მეზობლებმა დაიტაცეს. აღარ მქონდა მე თვითონ და ხელმეორედაც არ მიბეჭდავდა გამომცემლობამ, რადგან გამომცემლობას შეეშინდა იმიტო რო ეს ჩემი წიგნი დაწვეს მმკ-ს წევრებმა, რაც შერჩა ბოლოს ტირაჟი იყიდეს. მე მადლიერი ვარ ძალიან, იმიტომ რომ ფაქტობრივად ფინანსურად ძალიან მოვმაგრდი მაგ პერიოდში.

ინტერვიუერი: გგონიათ თუ არა, რომ ეპატაჟური ლიტერატურა შეიძლება იქცეს კლასიკად?

რესპონდენტი: შეიძლება კი არა, თითქმის ყველა ეპატაჟური ლიტერატურა მარკიზ დე სადიდან დაწყებული, ჟოზე სარამაგუთი დამთავრებული ყველა არის უკვე კლასიკა. ბოლო დროინდელი, თანამედროვეობის ყველაზე დიდი მწერალია ჟოზე სარამაგუ, რომლის წიგნის წაკითხვისაც ხვდები (ვგულისხმობ “იესოს სახარებას“), სადაც მთლიანად ამოყირავებულია ყველაფერი, ლაზარეს არ აცოცხლებს და ბოლოში ღმერთზე ამბობს მიუტევეთ ხალხნო, ღმერთმა არ იცისო, რა თქმა უნდა გამოიწვია ეპატაჟი, რომის პაპმა დაწყევლა. ამხელა მოვლენაა, პორტუგალიისთვის, ნობელის შემდეგ განსაკუთრებით. ფამუქზეც ასე იყო, პოლიტიკური იყო, პერსონა ნონ გრანტა იყო. თუმცა ნობელის შემდეგ მიიღო სამშობლომ.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით, რომელი თემები არის რომელზეც შეხება უეჭველი ეპატაჟს გამოიწვევს.

რესპონდენტი: გააჩნია საზოგადოებას. ამერიკულ საზოგადოებაში ოდნავ სექსისტური ტექსტიც კი გამოიწვევს მძაფრ რეაქციებს. რელიგიური თემა ყველა საზოგადოებაში მუშაობს. თან თუ ეხება ფუნდამენტურ, აბრაამულ რელიგიებს. ეს იწვევს ძალიან დიდ რეაქციებს, გასაგებია მუსლიმური სამყარო უფრო რადიკალურად უდგება ამ ყველაფერს და რამდენიმე პოეტი შეეწირა, მათ შორისაა მხატვარი აშრამ ფაიადი, რომელმაც წაიკითხა ათეისტური ლექსი და ამის გამო სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მაგრამ რეალურად ამერიკაშიც ხდება , ინგლისშიც ხდება. იოზეფ კულმანმა გამოსცა ესეთი წიგნი: კარგი იესო და ნაძირალა ქრისტე და დიდი ამბავი მოჰყვა ამს, ასევე და ვინჩის კოდი როგორ მოქმედებდა ეს წიგნი ბევრ ქვეყანაში, არა მხოლოდ საქართველოში. მაშინ კინოთეატრში დადგა ხალხი და აპროტესტებდა. ეს კაია რომ აპროტესტებდა, მთავარია ვინმეს არ სცემონ, თორემ პროტესტი ზოგადად კაია.

ინტერვიუერი: თქვენ თქვით, რომ ქართულ საზოგადოებაში რელიგია მოქმედებს ყველაზე მეტად, რომ დააკონკრეტოთ, რელიგიაში გულისხმობთ სარამაგუსავით ძველი ან ახალი აღთქმის გადათამაშებებს თუ ეკლესიას?

რესპონდენტი: მაგალითად 90იან წლებში, არ იყო ეს თემატიკა ასეთი მტკივნეული. მაშინ თავისუფლად შეგეძლო რელიგიაზე გეწერა, მაშინ კომუნიზმიდან ახალდაღწეულები იყვნენ და ეს კომუნიზმი მერე ამოავსო მეორე კომუნიზმმა. კომუნიზმის დედანმა, კომუნიზმი თავიდან ბოლომდე რომ გაიაზრო, კომუნიზმი ეს არის ქრისტიანული რელიგიის პროფანული არსი, მეტი არაფერი. ამიტომაც მისი დედანი იყო იქაც თხა და მგელი ერთად უნდა ძოვდეს, ამიტომ კომუნიზმი შეავსო კომუნიზმის დედანმა- რელიგიამ და ხალხი დაეწაფა და დღეს ცოტა სახიფათო არის ამ თემებზე წერა. სახიფათო რა, არ ვიცი ალბათ წიგნს დაგიწვავენ, თავს დაგესხმებიან.

ინტერვიუერი: და პატრიარქზე?

რესპონდენტი: პატრიარქზე რა ვიცი, მე ვწერ ხოლმე და ვიცი რომ იწვევს ძალიან მძაფრ რეაქციებს.

ინტერვიუერი: როგორ რეაქციებს იწვევს თქვენს მიმართ?

რესპონდენტი: პოსტი მაქვს შენახული „დასქრინული," სადაც მპირდებიან რომ მომკლავენ, მაგრამ ჯერჯერობით არ მოვუკვლივართ.

ინტერვიუერი: ძალადობას არ ჰქონია ადგილი თქვენს მიმართ?

რესპონდენტი: რამდენჯერმე მქონდა ქუჩაში ჩხუბი, მაგრამ რადგანაც მე პორტცმენი ვარ, მგონია რომ არ დამიკლია.

ინტერვიუერი: მიზეზი ამ ჩხუბის დაწყების, თქვენი ნაწერები იყო?

რესპონდენტი: მიზეზი ჩემი ტექსტები იყო. ეს ხდება ხოლმე, ბურჭულაძე არ ყოფილა გამონაკლისი, უბრალოდ მე არ გამიკეთებია აფიშირება. მე მგონია, რომ როდესაც ხარ მწერალი და ხარ მწვავე თემებზე დაგეშილი, ძალიან ჩვეულებრივი ამბავია. როცა ხედავენ რომ თავს იცავ, ეშინიათ უბრალოდ. სინამდვილეში ეს ადამინები, რომლებიც ამ ყალბ იდეალებს არიან ამოფარებულები, ძალიან მშიშრები არიან.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით ქართული თანამედროვე ეპატაჟური წიგნები ასახავს რამენაირად ქართულ თანამედროვე რეალობას?

რესპონდენტი: მე მგონი ყველაზე მეტად ასახავს. გაცილებით მეტად, ვიდრე თუნდაც 90იანების ლიტერატურა. 90იანების ლიტერატურა იყო ქაოსის, გაურკვევლობის ამსახველი, ვერ გაიგეს რა საზოგადოებაში ცხოვრობდნენ და რა უნდა ეწერათ და ამიტომ გაურბოდნენ რეალობის აღწერას და რომ ნახოთ 90იანების ტექსტები და იკვლიოთ მიხვდებით რომ ეს არის რეალობიდან გაქცევა. რეალობა იყო ძალიან მტკივნეული. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ პერფორმანსებს აკეთებდნენ, არც ერთი პერფორმანსი არ ყოფილა სამოქალაქო ომის შესახებ, არ ყოფილა არცერთი პერფორმანსი ძველბიჭური მენტალიტეტის შესახებ. რატომ არ უნდა ებრძოლო იმას, რაც დომინანტია არ მესმის და რატომ უნდა წერო ქრისტიანული ტექსტების პაროდია იმ დროს, როდესაც შენს ირგვლივ ვიღაცას კლავენ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალი დონის ლიტერატურაა ეს. მე არ ვლაპარაკობ რაღაც დაბალი კლასის ლიტერატურაზე. 90იანები არის გამორჩეული ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ თუ რეალობის ასახვაზე მიდგება, ამ მხრივ დღევანდელი გაცილებით უკეთ ასახავს, გამოძახილი გაცილებით მეტია ვიდრე ოდესმე ყოფილა. ახლა საბჭოთა ტექსტებზე ლაპარაკიც არ არის, იქ რეალობის სიმულაციაზე იყო ყველაფერი აგებული.

ინტერვიუერი: ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენი წიგნების მიმართ ეპატაჟური დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იქიდანაც რომ წერდით იმაზე რაც ხდებოდა საქართველოში?

რესპონდენტი: რა თქმა უნდა. ეპატაჟი ამიტომაც არის განსაკუთრებული. თუ ის აცდება რაიმენაირად რეალობას და მტკივნეულ თემებს, ის არც იარსებებს. შეიძლება ამ თემებს ეპატაჟის გარეშეც შეეხო, მაგრამ ეპატაჟი უფრო მტკივნეული არის. ჩემ შემთხვევაში უცნაური ის იყო, მიუხედავად იმისა რომ ეპატაჟური იყო და თავიდან მიიჩნეოდა რომ ყველაზე ეპატაჟურიც იყო. მე უცნაური ბედი დამყვა, ყველაფერი მაქვს აკადემიური პრიზებიდან მოგებული და ეს იყო უცნაური, მე არ მოველოდი ამას. მაგალითად „დაუჯდომელი“ არის სოციალური ტექსტი, რომელიც ელიტებს უპირისპირდება და დასცინის რაც ხელში მოხვდება და ამ დროს იღებს აკადემიურ პრიზებს, ჩემთვის იყო უცნაური, მაგრამ მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ძალიან კარგია.

ინტერვიუერი: სოციალური თემების ეპატაჟურ ლიტერატურაში გადმოტანით, სიტუაცია უმჯობესდება თუ უარესდება. ვგულისხმობ, საზოგადოებას ხელს უწყობს განვითარებაში თუ არ უწყობს?

რესპონდენტი: მე არ მგონია რომ ლიტერატურის მთავარი ფუნქციაა ის, რომ საზოგადოება გამოზარდოს და მას გაუძღვეს სადღაც. საერთოდ არ მგონია, რომ ლიტერატურამ პასუხები უნდა გასცეს რამეს. მე მგონია, რომ ლიტერატურამ პირიქით უნდა დასვას კითხვები.

ინტერვიუერი: ვგულისხმობ, ეპატაჟის არსებობას და მის ფარგლებში რაღაცის გადმოტანას, კარგია თუ არა საზოგადოებისთვის ასეთი ლიტერატურის არსებობა?

რესპონდენტი: უდავოდ, უპირობოდ კარგი არის. გააჩნია რა მეთოდით მიუდგებით ამ საკითხს. მაგალითად, ისტორიული შედარების მეთოდით თუ მოუყვებით და მივყვებით დროს, ეპოქას იქ რა ხდებოდა, როგორი ლიტერატურა იყო, თითქმის ყველა ლიტერატურა იყო ეპატაჟური. რუსთაველიც ეპატაჟური იყო, მას საუკუნეების მანძილზე ძალიან დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას ელიტები და იმ დროს ერთადერთი ელიტა არსებობდა - სასულიერო ელიტა, ეკლესია. და ბუნებრივია რომ მას შემდეგ იყო გურამიშვილი, რომელიც ასევე ეპატაჟურია, წერეთელი, რომელიც მთავარი „ეპატაჟნიკი“ იყო თავისი დროის, ჭავჭავაძეც ეპატაჟური იყო, ბუნებრივია რასაც ამბობდა იყო სრული შოკი ქართული საზოგადოებისთვის. ჩვენ არც სახელმწიფო ვიყავით მაშინ, ყველაფერი ამ კაცმა შექმნა, გამოიგონა. არაფერი არ არსებობდა, ბანკი არ არსებობდა, კითხვა არ იცოდნენ და მოვიდა კაცი და თქვა, მე ეხლა კითხვა უნდა გასწავლოთ, ხალხი გაგიჟდა, ამბობდნენ: რაში გვჭირდება კითხვა და ა.შ. ყველა მისი იდეა რეალურად იყო ეპატაჟური და ამ იდეებმა მოიყვანა საქართველო, კიდე კაი ეგ კაცი დაიბადა, თორე კაციშვილი არ იყო არაფრის გამკეთებელი.

ინტერვიუერი: თქვენი აზრით მოახდინა თუ არა თქვენმა რომელიმე წიგნმა გავლენა ქართულ საზოგადოებაზე და იყო თუ არა ეს თქვენი მიზანი?

რესპონდენტი: რა თქმა უნდა იყო. ყველა ავტორის მიზანია, რომ რაღაც გავლენა მოახდინოს. ერთი რამე დაზუსტებით ვიცი, რომ ახალგაზრდა პოეტებზე მოვახდინე გავლენა და ქართულ საზოგადოებაზე არ ვიცი, საერთო ჯამში, მგონია, რომ ყველა ჩვენგანის გამოსვლებმა ქნა ის რომ გავაფართოეთ გამოხატვის ზღვარი, გავწიეთ რაც შეიძლება შორს. ანუ დღეს აღარ ვარდებიან რაღაც თემებზე. ამ თემებზე უკვე გახსნილია დისკურსია,. ამიტომ კი, მოვახერხეთ. არა მარტო მე, წინაპრებიც მყავდნენ თანამედროვეობიდან და დათო ბარბაქაძე, რომელმაც დაწერა „ტრფობა წამებულთა“ არაჩვეულებრივი ტექსტი და რომელმაც გამოიწვია ძალიან დიდი დისკურსია, ჰაგიოგრაფიული ტექსტების საოცარი პაროდიით. მაშინ 90იანებში, როდესაც ხალხს პური შიოდა და რიგები იდგა, ამაზე ლაპარაკობდა მთელი თბილისი. ვხვდებოდი რომ ხალხი აღშფოთებული იყო, მაშინ ალბათ მეც აღვშფოთდებოდი,. შემდეგ მოყვა - ზაზა იყო, ლაშა იყო, ეკო იყო, ეკომდე მე იყავი...

ინტერვიუერი: ზოგადად, ქართული საზოგადოება მკითხველი საზოგადოებაა? ვგულისხმობ თანამედროვე ქართველ ავტორების წიგნებს

რესპონდენტი: კი, როგორ არ კითხულობენ. ზოგიერთი 10 ათას ცალ წიგნს ყიდის. პოეზია ზოგადად ყველგან ერთნაირი მკითხველი ჰყავს. არის ასეთი ჰანს ენცესბერგერის რიცხვს ეძახიან, რომელმაც დათვალა რაღაცნაირად და დაასკვნა რომ ნებისმიერ ქვეყანაში პოეზიის მკითხველი არის 1453 ადამიანი. ტირაჟებიც რომ გადახედოთ ემთხვევა. ზოგჯერ ჩვენთან ტირაჟები მეტია, ვიდრე უკრაინაში. უკრაინაში 1000 არის კარგი ტირაჟი. სერგეი ჟადანი არის

პირველი პოეტი და იმას გაუვარდა და საშუალოდ 2000 ბეჭდავს, თან ოფიციალურად ნომერ პირველი ტიპია, ჩვენთან ბევრზე შეიძლება თქვა ის მომწონს-ეს მომწონს, იქ ყველას ჟადანი მოსწონს. მაინც ამდენია ტირაჟი, იმიტომ რომ პოეზიაა ურჩევნია რომ მოისმინონ. ამის საღამოებზე წყვეტა არის ხოლმე, მაგრამ წიგნებს არ ყიდულობენ. იგივე ხდება ამერიკაში, ბერსშტაინი იყო ჩამოსული და როცა ვუთხარი ტირაჟები 1000 არის კარგი ტირაჟი პოეზიაში. პროზაში უვე რაც უფრო დიდი ქვეყანაა მით უფრო მეტი იყიდება. საქართველოში გაცილებით ნაკლებია ბუნებრივია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. მე ვიცი რომ ჩვენი „არა მკითხველობის“ დასადასტურებლად ის მოჰყავდათ, რომ მოსკოვში ან ნიუ იორკში მეტროში ყველგან წიგნით შეგხვდებიან, სინამდვილეში იქ დიდი მანძილის გავლა უწევთ და საქართველოში ეხლა მეტროთი 5 წუთში მეტროს თავიდან მეტროს ბოლოში ხარ და ეს ჩვევა ვერ ჩამოყალიბდება რა თქმა უნდა, სოციალური ჩვევაა და იძულებული ხარ რაღაცა გაეთოს და უჭირავს წიგნი და კითხულობს, იმიტომ რომ შეიძლება 1 საათი მოუწიოს მოგზაურობა, ჩვენთან ეგ არ არის.

ინტერვიუერი: უცებ დამისახელეთ 5 ყველაზე ეპატაჟური თანამედროვე ქართველი მწერალი.

რესპონდენტი: ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაზე, რომლის ტექსტიც რატო გახდა ეპატაჟური პრინციპში ლაშამაც არ იცის. მერე ვიყავი მე, მერე იყო ეკო დეისაძე ეს ოთხი და მეხუთე ზურაბ ქარუმიძე.

ინტერვიუერი: ძალიან დიდი მადლობა!

კითხვარის ნომერი: |__|__|__|__|

[ივსება რესპონდენტის მიერ]

თანამედროვე ქართული ეპატაჟურლი ლიტერატურის გავლენა საზოგადოებაზე

გამარჯობა! მე ვარ თამარ მეჭურჭლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის მეოთხე სემესტრის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას, რომლის მიზანია იმის დადგენა, იწვევს თუ არა თანამედროვე ქართული ლიტერატურა ეპატაჟს ჩვენს საზოგადოებაში.

კვლევა კონფიდენციალურია, პასუხები განზოგადდება სტატისტიკურად დამუშავებული სახით, ამდენად ველოდებით თქვენგან გულწრფელ პასუხებს..

კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაასრულოთ მონაწილეობა. ინტერვიუ გასტანს 15-20 წთ.

სოციალურ-დემოგრაფიული ბლოკი

A1. სქესი

1. მდედრობითი
2. მამრობითი

A2. ასაკი

A3. სწავლის მიმართულება

1. ენების ფილოლოგია (ნებისმიერი ენა, გარდა ქართული ფილოლოგიისა);
2. ფილოსოფია;
3. ხელოვნება; სახვითი ხელოვნება; ტელე-კინო ხელოვნება;
4. ისტორია; ეთნოლოგია; არქეოლოგია; კავკასიოლოგია;
5. ამერიკის მცოდნეობა; კულტურის კვლევები;
6. ქართული ფილოლოგია; ქართული ლიტერატურა, საგამომცემლო საქმე; ქართული ენათმეცნიერება;

A4. გაქვთ თუ არა ამჟამად სამსახური?

ეს სამსახური შეიძლება იყოს სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, შეიძლება დასაქმებული იყოთ ოფიციალურად, არაფორმალურად ან იყოთ თვითდასაქმებული, მთავარია ამ საქმიანობისგან შემოსავალი გქონდეთ.

1. დიახ;
2. არა.

ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის დადგენა თანამედროვე ქართული ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ;

A5. კითხულობთ თუა რა მხატვრულ ლიტერატურას?

1. დიახ;
2. არა.

A6. როგორი ტიპის მხატვრული ლიტერატურა გიყვართ?

1. ნოველა;
2. სათავგადასავლო;
3. რომანი;
4. დეტექტივი;
5. სხვა _____
99. მიჭირს პასუხის გაცემა

A7. წაგიკითხავთ თუ არა ისეთი წიგნები, რომლებმაც ხმაური ანუ, საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში?

1. დიახ;
2. არა.
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

A8. წაგიკითხავთ თუ არა ისეთი ქართულენოვანი წიგნები, რომლებმაც ხმაური ანუ, საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია საქართველოში?

1. დიახ;
2. არა.
99. მიჭირს პასუხის გაცემა;

ახლა მინდა შეგეკითხოთ ე.წ. „ეპატაჟური“ მწერლობის შესახებ. „ეპატაჟური აღნიშნავს იმას, რაც სკანდალურია და რაც აღღვევს საზოგადოდ დამკვიდრებულ ნორმებსა და პრინციპებს.

A9. დაგვისახელეთ ყველაზე უფრო ეპატაჟური თანამედროვე (დღეს მოქმედი და ცოცხალი) ქართველი მწერალი, რომლის ნაწარმოებიც წაგიკითხავთ ან რომლის შესახებაც გსმენიათ:

A10. თქვენი აზრით, რატომ გახდა აღნიშნული მწერალი ეპატაჟური?

იმ თემატიკის გამოყოფა, რომლის ქართულ ლიტერატურაში გამოყენებისასაც ყველაზე მგრძნობიარეა ქართული საზოგადოება;

A11. თქვენი აზრით, აქვს თუ არა მწერალს უფლება შეეხოს ნებისმიერ თემას?

1. დიახ;
2. არა.
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

A12. თქვენი აზრით, უნდა არსებობდეს თუ არა საკრალური თემები, რომელიც ხელშეუხებელი დარჩება?

1. დიახ, უნდა არსებობდეს თემები, რომლებსაც არ უნდა შევეხოთ;
2. ხელშეუხებელი თემები არ უნდა არსებობდეს;
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

A13. თქვენი აზრით, რომელი თემების მიმართაა მგრძნობიარე საზოგადოება?

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. რელიგიური თემების მიმართ;
2. საქართველოს პატრიარქთან თემის მიმართ
3. უმცირესობების თემების მიმართ;
4. საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული თემების მიმართ;
5. ქართულ ტრადიციებთან დაკავშირებული თემების მიმართ
6. სექსუალური საკითხების მიმართ;
99. მიჭირს პასუხის გაცემა

A14. გაიხსენეთ ავტორი, რომლის წიგნმაც ყველაზე დიდი ეპატაჟი გამოიწვია საზოგადოებაში

მაქსიმუმ სამი

A15. გაიხსენეთ ქართველი ავტორი, რომლის წიგნე(ებ)მაც ყველაზე დიდი ეპააჟი გამოიწვია საქართველოს საზოგადოებაში

მაქსიმუმ სამი

---

99. მიჭირს პასუხის გაცემა

A16. თქვენი აზრით, რა კრიტერიუმები აქცევს წიგნს (მხატვრულ ლიტერატურას) ეპატაჟურად?

დასაშვებია მაქსიმუმ სამი პასუხი

1. სათაური;
2. რელიგიური თემების გაშარჟება (დესაკრალიზაცია);
3. სექსუალური სცენების აღწერა;
4. ტრადიციების უგულვებელყოფა/გაშარჟება;
5. სექსუალური უმცირესობების ცხოვრების გაშუქება;
6. საშინელებათა აღწერა
7. ნებისმიერი თემა შეიძლება გახდეს ეპატაჟური
99. მიჭირს პასუხის გაცემა

საზოგადოების დამოკიდებულების დადგენა თანამედროვე (მწერლები, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ და ცოცხლები არიან) ქართული ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ;

A17. კითხულობთ თუ არა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას?

1. დიახ;
2. არა.

A18. რა სიხშირით კითხულობთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას?

1. ყოველდღე ვკითხულობ;
2. კვირაში ერთხელ მაინც ვკითხულობ;
3. თვეში ერთხელ მაინც ვკითხულობ;

4. თანამედროვე ქართულ ლიტერატუას არ ვკითხულობ;

A19. მოგწონთ თუ არა თანამედროვე ქართული ლიტერატურა?

შეაფასეთ ხუთ ბალიან სკალაზე, სადაც 1 - ძალიან არ მომწონს, ხოლო 5 - ძალიან მომწონს

1_____2_____3_____4_____5

A20. არის თუ არა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ეპატაჟი?

1. დიახ არის უხვად;
2. შემხვედრია, მაგრამ იშვიათად;
3. არ არის.

A21. მოგწონთ თუ არა ეპატაჟური ლიტერატურა?

შეაფასეთ ხუთ ბალიან სკალაზე, სადაც 1 - ძალიან არ მომწონს, ხოლო 5 - ძალიან მომწონს

1_____2_____3_____4_____5

A22. ბოლოს წაკითხული ქართველი ავტორების ეპატაჟური წიგნებიდან, რომელი მოგეწონათ?

A23. ბოლოს წაკითხული ქართველი ავტორების ეპატაჟური წიგნებიდან, რომელი არ მოგეწონათ?

A24. თქვენი აზრით, რამდენად სასარგებლოა ეპატაჟური ლიტერატურა, მწერლობისა და ლიტერატურის გავითარებისთვის?

1. ძალზე სასარგებლოა;
2. უფრო სასარგებლოა, ვიდრე არა;

3. არც სასარგებლოა და არც საზიანო;
4. უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო;
5. ძალზე საზიანოა;
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

A25. თქვენი აზრით, რამდენად უწყობს ხელს ეპატაჟური ლიტერატურა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას?

1. ძალიან უწყობს ხელს;
2. უფრო უწყობს ხელს, ვიდრე უშლის;
3. არანაერი წვლილი არ შეაქვს;
4. უფრო ხელს უშლის, ვიდრე უწყობს;
5. ძალზე უშლის ხელს;
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

ქართული თანამედროვე ეპატაჟური ლიტერატურის გავლენის დადგენა ქართულ საზოგადოებაზე.

A26. თქვენი აზრით, მოახდინა თუ არა გავლენა ეპატაჟურმა ლიტერატურამ ქართულ საზოგადოებაზე?

1. დიახ, ძალიან დიდი გავლენა მოახდინა;
2. გავლენა მოახდინა, მაგრამ უმნიშვნელო;
3. არანაერი გავლენა არ მოუხდენია;
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

A27. მოახდინა თუ არა ეპატაჟურმა ლიტერატურამ გავლენა თქვენზე?

1. დიახ, ძალიან დიდი გავლენა მოახდინა;
2. გავლენა მოახდინა, მაგრამ უმნიშვნელო;
3. არანაირი გავლენა არ მოუხდენია;
99. მიჭირს პასუხის გაცემა.

ვინც უპასუხა 1 ან 2 პასუხი, გადადით მომდევნო კითხვაზე

A28. რაში მდგომარეობს ეს გავლენა?

_____

მადლობა მონაწილეობისთვის!